საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდიოებით და ჭირებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 28 ნოემბერი, 2015 წელი.

№224 (7869)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

„თავის დროზე კონსულტაციები გვქონდა: ივანიშვილი - პრემიერად, ბურჭულაძე - საპრეზიდენტო კანდიდატად“

6

რამაზ საყვარელიძე: ბურჭულაძე ივანიშვილს ვერ ჩაანაცვლებს.

სოსო ცინცაძე: ბურჭულაძის გარშემო სრული კოლაფსია და ის პიროვნებები, რომლებიც ამ ახალი პოლიტიკური პროექტის დიდ კონსტრუქციად უნდა იქცნენ, ვერ იწვევენ საზოგადოების დიდ ენთუზიაზმს.

თემურ შაშიაშვილი: პოლიტიკაში მოსვლა პაატა ბურჭულაძეს მიწასთან გაასწორებს.

გია ხუსაშვილი: ერთადერთი, ვისთვისაც საფრთხეს წარმოადგენს ბურჭულაძე, „ქართული ოცნებაა“.

„გაისარეთ, ნაციონალებო“ - ირაკლი შოთაძე მთავარი პროკურორია!

საქართველოს პარლამენტმა მთავარი პროკურორის პოსტზე ირაკლი შოთაძე დაამტკიცა. ფარული კენჭისყრისას შოთაძის კანდიდატურას 82 დეპუტატმა დაუჭირა მხარი, ხმა მის წინააღმდეგ 15-მა მისცა.

საპარლამენტო უმრავლესობამ შოთაძეს სრული ნდობა და მხარდაჭერა გამოუცხადა. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა ძირითადად ყურადღება წინა ხელისუფლების პერიოდთან დაკავშირებულ დანაშაულებზე გაამახვილეს და სამართლიანობის აღდგენის პროცესის დაჩქარებაზე ისაუბრეს. საპარლამენტო უმცირესობა კი დარწმუნებულია, რომ შოთაძის მთავარ პროკურორად დამტკიცებით პროკურატურის სისტემაში რეალურად არაფერი იცვლება და, წინა მთავარი პროკურორების ანალოგიურად, შოთაძეც პოლიტიკური დავალებების შემსრულებელი იქნება.

ირაკლი შოთაძეს პლენარული სხდომის ფორმატში არ უსაუბრია და არც კითხვებისთვის გაუცია პასუხი. მთავრობის საპარლამენტო მდივნის შალვა თადუმაძის მიერ მთავარი პროკურორის კანდიდატის წარდგენის შემდეგ, პოზიციები მხოლოდ დეპუტატებმა გამოხატეს, რის შემდეგაც კენჭისყრა ჩატარდა. ახალმა მთავარმა პროკურორმა გიორგი ბადაშვილი შეცვალა და თანამდებობა 6-წლიანი ვადით დაიკავა.

ესეც „ნაციონალთა გასახრად“! გაიზრდება პენსიები, მასწავლებელთა ხელფასი, ბინებით დაკმაყოფილდებიან დევნილები...

2

რუსულ-თურქული მტრობა

5

ვინ არის დამნაშავე კრედიტების გაძვირებაში?

7

იოსებ არჩვაძე:

თუ კონფლიქტის ესკალაციამდე მივიდა საქმე, შეიძლება ტერორისტული სამიზნე ნავთობსადენიც გახდეს საქართველოს ტერიტორიაზე!

3

◎ რეპლიკა

ასე ჯიუტად რატომ დუმს მერიის პრესსამსახური?!

თბილისელებისთვის ყველაზე საჭირბოროტო და საინტერესო საკითხებზე ვის უნდა მივმართოთ კითხვით, თუ არა მერიის წარმომადგენლებს. მათთან კომუნიკაციის ხელშეწყობა კი უპირველესად მერიის პრესსამსახურს ევალება. აქ კი ჩვეულებრივ ექცათ დუმილი... **უბრალოდ, ტელეფონის ზარს არ უპასუხებენ, კომენტარებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია!** ჩვენ გვქონდა კითხვები თბილისის ბიუჯეტზე, მერიის თანამშრომლებისთვის განკუთვნილი გაზიანი წყლებისა თუ გულსაბნევების შესახებ, რაც ათასობით ლარშია გაანგარიშებული მომავალი წლის ბიუჯეტში, სოციალურად დაუცველებისთვის განკუთვნილი 1714 კუბოს შესახებ, რაზეც პრესა წერდა.

გვინდოდა, გაგვეგო, რომელი შეესაბამება სიმართლეს, რეალურად ბიუჯეტში რა ციფრებზეა ლაპარაკი, რა საჭიროებები იგეგმება და იგულისხმება სამომავლოდ. მაგრამ, როგორც გითხარით, თანამდებობის პირების მოხელეთება არც თუ მარტივია, პრეს-სამსახური კი კარგა ხანია თავის ფუნქციას არ ასრულებს. ახალი ხელმძღვანელი ნონა ყანდიაშვილი სულ რამდენიმე თვეა, შეუდგა „მუშაობას“, მაგრამ მართლა ვერ გეტყვით, მოვალეობას ასრულებს?! **პირადი გამოცდილებით შემიძლია გითხრათ, რომ მასთან სატელეფონო კონტაქტი შეუძლებელია, თითქმის არასოდეს უპასუხებს სატელეფონო ზარებს! იქნებ, ამაზეც ეფიქრა თბილისის მერს, თორემ მხოლოდ პრესაზე დაყრდნობით ჭორ-მართალის გარჩევა გაუჭირდება საზოგადოებას.**

თეა მოსია

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ირაკლი ღარიბაშვილი ევროკომისარ იოჰანეს ჰანს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თბილისში ვიზიტით მყოფ ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების მოლაპარაკებების საკითხების ევროკომისარ იოჰანეს ჰანს მთავრობის ადმინისტრაციაში უმასპინძლა.

მხარეებმა საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის დღის წესრიგში არსებული პრიორიტეტული საკითხები და სამომავლო გეგმები განიხილეს.

საუბარი შეეხო ასოცირების შეთანხმების ეფექტიანი განხორციელების მიზნით ქვეყანაში განხორციელებულ და მიმდინარე რეფორმებს. ხაზი გაესვა საქართველოს მზადყოფნას, კიდევ უფრო გაამტკიცოს რეფორმების პოზიტიური შედეგები, რათა დაუახლოვდეს ევროპულ სტანდარტებს, რაშიც ევროკავშირი სრულად უჭერს მხარს.

შეხვედრაზე განიხილეს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის მნიშვნელობა ევროკავშირთან ურთიერთობების შემდგომი გაღრმავებისთვის და ის მოლოდინები, რაც ამ მიმართულებით საქართველოს გააჩნია. საქართველოს მთავრობის მეთაურის თქმით, უვიზო რეჟიმის შემოღება იქნება ევროკავშირის მხრიდან საქართველოს ევროპული არჩევანის მხარდაჭერის ნათელი დემონსტრირება. ევროკომისარმა იმედი გამოთქვა, რომ ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით ევროკომისიის დასკვნა დადებითი იქნება.

მხარეებმა სექტორული თანამშრომლობის გაძლიერების პერსპექტივებზე იმსჯელეს და აღნიშნეს, რომ საქართველო რჩება ევროკავშირის სტრატეგიულ პარტნიორად რეგიონში.

საუბარი შეეხო საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მდგომარეობას, ევროკავშირის მონიტორინგის მისიის საქმიანობის მნიშვნელობასა და დამკვირვებლების როლს რეგიონული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. მხარეებმა ასევე განიხილეს მსოფლიოს წინაშე არსებული ახალი გამოწვევები.

საქართველო იყო პირველი ქვეყანა, რომელიც ევროპული არჩევანის გამო, ჩრდილოელმა მეზობელმა დასაჯა

ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარ იოჰანეს ჰანთან პირისპირ შეხვედრის შემდეგ განაცხადა. გიორგი მარგველაშვილის თქმით, რუსეთის გარდა, ყველა ჩართულია ევროპული თანამშრომლობის პროცესში.

„ჩვენ ვართ შავი ზღვის ქვეყანა, რომელიც უმნიშვნელოვანესია ევროპისთვის. 2014 წლიდან შავი ზღვა ფაქტობრივად ევროპული ზღვა გახდა, რომლის ირგვლივაც გაერთიანებული ყველა ქვეყანა, რუსეთის გარდა, ევროპული თანამშრომლობის პროცესშია ჩართული. ეს როლი გასაღრმავებელია“ — განაცხადა მარგველაშვილმა.

მისივე თქმით, იმ რთული გარემოს მიუხედავად, რომელშიც საქართველო იმყოფება, ქვეყანა ევროპულ სახელმწიფოს აქტიურად აშენებს.

◎ მთავრობის სხდომა

პრემიერის იმედიანი პროგნოზი: გაიზრდება პენსიები, მასწავლებელთა ხელფასი, ბინებით დაკმაყოფილდებიან დევნილები...

2016 წლის 1 აპრილიდან მასწავლებლების საშუალო ხელფასი 600-700 ლარი გახდება. ამის შესახებ მთავრობის გუშინდელ სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა.

„ჯანდაცვის მიმართულების შემდეგ, ყველაზე დიდი ფინანსური რესურსი იქნება მობილიზებული განათლებაზე. ამისათვის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 1 მილიარდ ლარზე მეტი. 2012 წელთან შედარებით, 2016 წელს 55%—ით იქნება გაზრდილი განათლების სისტემის ბიუჯეტი.

განსაკუთრებით მინდა შევეხო მასწავლებლების ხელფასის საკითხს. 2015 წლის 1 აპრილიდან განხორციელდება პედაგოგთა ხელფასების ზრდის მეორე ეტაპი და საბაზო ხელფასი გაიზრდება 405 ლარამდე. საშუალო ხელფასი 2016 წლისათვის, 2012 წელთან შედარებით, ჯამში გაიზრდება 70 პროცენტით. ასევე გაიზარდა მეცნიერთა ხელფასები“, — განაცხადა პრემიერმა.

* * *

პენსიის 180 ლარამდე ზრდა, მომავალი წლის 1 ივლისიდან იგეგმება

„მომავალი წლის ბიუჯეტიც იქნება, სოციალურად ორიენტირებული, ეს სახსრები განკუთვნილი იქნება პენსიების და პედაგოგების საბაზო ხელფასების ზრდისათვის, მაღალმთიანი რეგიონების განვითარების ხელშეწყობისა და სხვა ღონისძიებებისათვის.

პირველ რიგში, შევეხები პენსიების საკითხს. გადავწყვიტეთ, რომ 2016 წლის პირველი ივლისიდან პენსიები გახდეს 180 ლარი. 2012 წელთან შედარებით, პენსიები 64 პროცენტამდეა გაზრდილი. ასე რომ, ჩვენ 600 მილიონი ლარით მეტს გავცემთ პენსიონერებისთვის“, — განაცხადა პრემიერმა და დასძინა, რომ მთავრობა დაინტერესებულია, დაინერგოს პენსიის დაგროვებითი სისტემა.

304 დევნილ ოჯახს საცხოვრებელი ფართები გადაეცემა

„მინდა შეგახსენოთ, რომ 25 მილიონი ლარი იყო დევნილთა ბიუჯეტი 2012 წელს და გაისად იგი გახდება 85 მილიონი ლარი. ეს თანხა მოხმარდება ახალი სახლების მშენებლობას, დევნილთათვის ბინების შეძენას, „სოფლის სახლის“ პროგრამას. დევნილთა და განსახლების სამინისტრომ გააააქტიურა პროექტი: „დევნილებისთვის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ფართების დაკანონება“, რომლის მიხედვითაც სამინისტრომ აიღო ვალდებულება, რომ 10 თვეში 10 400 დევნილ ოჯახს დაუკანონებდა საცხოვრებელ ფართებს და ეს პირობა შესრულდა. დღეის მონაცემებით, უძრავი ქონების მესაკუთრე 10 400-ზე მეტი დევნილი ოჯახი გახდა და ეს პროცესი კვლავაც გრძელდება,“ — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

* * *

მაღალმთიანი დასახლების განვითარების ფონდისთვის გათვალისწინებულია 20 მილიონი ლარი

„ეს არის, ჩემი აზრით, ჩვენი მთავრობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიღწევა, რადგან ჩვენ მთლიანად გავაცნობიერეთ ის, თუ რა შეიძლება მოიტანოს ჩვენი ქვეყნის მთიანეთის დაცლამ და გადავდგით კონკრეტული ნაბიჯები ამ ვითარების გამოსასწორებლად. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სოციალური შეღავათების ამოქმედების შედეგად მაღალმთიან რეგიონებში გაიზრდება ჯანდაცვასა და განათლებაზე ხელმისაწვდომობა,“ — განაცხადა პრემიერმა.

მისი განმარტებით, მომავალ წელს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსებისთვის დაახლოებით მილიარდი ლარია გათვალისწინებული.

“აქედან დაახლოებით ნახევარი მილიარდი ლარი მოხმარდება საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. 280 მილიონი ლარია გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისთვის. გაგრძელდება „აწარმოე საქართველოსთვის“ პროგრამის მხარდაჭერა.

დღეის მდგომარეობით, აგროკრედიტის პროგრამის ფარგლებში 139 ახალი საწარმო და 600 მეტი საწარმოა დაფინანსებული გადაირაღების კუთხით. ინდუსტრიული მიმართულებით, 123 ახალი ქარხანა დავაფინანსეთ, რაც ჯამში 350 მილიონი ლარის ინვესტიციაა.

გვქონდა 3-წლიანი პროგრამა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის და გადავწყვიტეთ, რომ გაისადაც გავაგრძელოთ ეს პროგრამა. ასევე გაგრძელდება აგროდაზღვევის პროგრამა და პროგრამა „დანერგე მომავალი“. კიდევ ერთი ინფორმაცია: ჩვენ 8000 ფერმერს ჩამოვაწერეთ 26 მილიონი ლარის ოდენობის იჯარის დავალიანება,“—აღნიშნა პრემიერ—მინისტრმა.

* * *

პრემიერ-მინისტრი მედიასაშუალებებს თხოვს, მთავრობის სიახლეები გააშუქონ

მთავრობის დღევანდელ სხდომაზე ირაკლი ღარიბაშვილმა მედიასაშუალებებს თხოვნით მიმართა, მთავრობის სიახლეებზე მოსახლეობას ინფორმაცია მიაწოდონ.

,,მე მინდა მედიასაშუალებებს მივმართო თხოვნით, რომ ეს ინფორმაცია მიაწოდოთ მოსახლეობას. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, რომ ჩვენ ანგარიშს ვაბარებთ მოსახელობას და გთხოვთ, გაითვალისწინოთ ეს ყველაფერი“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა 2016 წლის ბიუჯეტის პროექტზე საუბრისას.

* * *

მომავალი წლის ბიუჯეტი 10 მილიარდ 145 მილიონი ლარი იქნება

განაცხადა ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა, რომელმაც მთავრობის გუშინდელ სხდომაზე მაკროეკონომიკური პარამეტრები წარადგინა.

„მინდა, მაკროეკონომიკური პარამეტრები წარმოგიდგინოთ. მომავალი წლის ბიუჯეტი გადააჭარბებს უკვე 10 მილიარდ ლარს და 10 მილიარდ 145 მილიონი ლარი იქნება. ეს არის ის პარამეტრი, რომელზეც ჩვენ უკვე ავაგეთ ეს ბიუჯეტის პროექტი და წარვადგენთ საქართველოს პარლამენტში“, — განაცხადა ხადურმა.

მისივე თქმით, 2012 წლის ბიუჯეტი 8 მილიარდზე ნაკლები იყო დაშესაბამისად იგი 2 მილიარდით არის გაზრდილი.

მნიშვნელოვნადაა გაზრდილი სოციალური ხარჯები, ადამიანებზე ზრუნვა პრიორიტეტია, ჯანდაცვის პროგრამაზე ჩვენი ოპონენტები ამბობენ, რომ არის უვარგისი პროგრამა. რატომღაც, ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა თურმე არ უნდა იყოს სახელმწიფოს პრიორიტეტი“, — განაცხადა ხადურმა.

◎ ინფორმაცია

პენსიების ზრდას ნაციონალები თავიანთ ინიციატივად ნუ მიიწერენ

საპარლამენტო უმრავლესობაში აცხადებენ, რომ პენსიების ზრდასთან ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქტივობა არაფერ შუაშია.

მმართველი გუნდის წარმომადგენლის ზურაბ ტყემალაძის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტის პროექტში საუბარი არ ყოფილა პენსიების მატებაზე, ამ საკითხზე მუდმივად მიმდინარეობდა მსჯელობა მთავრობაში.

„პოლიტსაბჭოზეც, მთავრობასთან ერთადაც, იყო ამაზე საუბარი. პირდაპირი დავალება იყო პრემიერის, მოძებნილიყო საშუალება, ჯერ კიდევ მანამდე სანამ ნაციონალური მოძრაობა ამ ინიციატივას გააკეთებდა. რისი საშუალებაც მოიძებნა ამ ეტაპზე, ეს არის “, — განაცხადა დეპუტატმა ზურაბ ტყემალაძემ.

ნაციონალური მოძრაობა პენსიების ზრდასთან დაკავშირებით სიახლეს ეხმაურება. როგორც პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ბაქრაძემ განაცხადა, ნაციონალურმა მოძრაობამ აიძულა მთავრობა მომავალი წლის ბიუჯეტში პენსიების ნაწილობრივი ზრდა გაეთვალისწინებინა. ენმ პენსიის გაზრდის მოთხოვნით, საქართველოს მასშტაბით ხელმოწერებს აგროვებს.

ვითარცა აქლემთა ჭიდილში გაჭყლეტილი კოზაკი?

თუ კონფლიქტის ესკალაციამდე მივიდა საქმე, შეიძლება ტერორისტული სამიზნე ნავთობსადენიც გახდეს საქართველოს ტერიტორიაზე!

რუსეთ-თურქეთს შორის მიმდინარე დაძაბულ მოვლენებზე გვესაუბრება „ქართული პლატფორმის“ გამგეობის წევრი, ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, იოსებ არჩვაძე.

— ბატონო იოსებ გაზეთ „რეზონანსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში აცხადებთ, რომ რუსეთ-თურქეთის დაძაბული ურთიერთობა ნეგატიურ გავლენას იქონიებს საქართველოზეც, რადგან ორივე სახელმწიფო საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორია.

თუმცა საომარი მოქმედებების ესკალაციის შემთხვევაში, სხვა მოსალოდნელი საფრთხეებიც არაა გამორიცხული...

— სამწუხაროდ, როდესაც მეზობელი ქვეყნები ძალის არგუმენტებით ცდილობენ თავიანთი სიმართლის დამტკიცებას, მათ შორის მყოფმა აბსოლუტურად უდანაშაულო მეზობელმა, თუ ძალა შესწევს, უნდა გააშველოს ისინი, თუ არადა, შეიძლება თვითონ აღმოჩნდეს საფრთხის წინაშე. საქართველოც ამ დღეშია.

— რუსეთსა და თურქეთს საკმაოდ დიდი ეკონომიკური ინტერესები აქვთ და ერთი ხელის აღებით ამ კავშირის გაწყვეტა ორივე მხარისთვის სერიოზული ზიანის მომტანი იქნებოდა.

ნებისმიერ შემთხვევაში ესკალაცია საქართველოზე ცუდად იმოქმედებს. თუკი ორივე ქვეყანა ჩაერთვება საომარ მოქმედებებში, ეკონომიკის ნაცვლად სამხედრო რესურსებზე გადასვლა ერთობლივი მოთხოვნების შემცირებას გამოიწვევს. ასევე შემცირდება ინვესტიციების შემოდინება, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. რა თქმა უნდა, ერთობლივი მოთხოვნის შემცირება პირდაპირ გავლენას მოახდენს საქართველოსთან მიმართებაშიც. რადგან, თურქეთი საქართველოსთვის ნომერი პირველი სავაჭრო პარტნიორია და მისი მყისიერი ცვლილება სხვა ქვეყნით შეუძლებელი იქნება.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ესკალაციამ შეიძლება სერიოზული საფრთხე შეუქმნას ნავთობსადენისა და გაზსადენის უსაფრთხოებასაც. ვერ გამოვრიცხავ, რომ თუკი ესკალაციამდე მივიდა საქმე, ტერორისტული სამიზნე ეს ნავთობსადენი გახდეს არა უშუალოდ თურქეთის, არამედ, საქართველოს ტერიტორიაზეც კი!

— იგივე ინტერვიუში თქვენ არ გამორიცხავთ, რომ, შესაძლოა, საქართველოში საფრთხე შეექმნას ფინანსურ სტაბილურობასაც. ალბათ, მხედველობაში გაქვთ ის ფულადი ტრანსაქციები, რომელიც საკუთარი თანამემამულეებისგან რეგულარულად შემოდის რუსეთიდან...

— ჩვენი თანამემამულეების ათეულ ათასობით სამუშაოს მაძიებელი ემიგრანტია თურქეთშიც...

— რა პრევენციული ზომები უნდა გაატაროს კრიტიკული სიტუაციის შემთხვევაში საქართველომ?

— საომარ ქმედებებს ყოველთვის თან სდევს ეროვნული ვალუტის დევალვაცია, ერთობლივი მოთხოვნის შემცირება და ა.შ. ამიტომ, ეს რესურსიც საკმაოდ შეზღუდული იქნება, თუ საერთოდ არ დაიკეტა. საქმე ისაა, რომ საომარი ვითარების დროს შეიძლება რუსეთმა მიიღოს გადაწყეტილება და საერთოდ აკრძალოს ქვეყნიდან ფულადი რესურსების გადინება.

ვფიქრობ, საქართველოს ხელისუფლებამ და პოლიტიკოსებმა იმაზე კი არ უნდა დახარჯონ დრო, თუ რომელი კომპანია ვის მფლობელობაშია, არამედ უფრო მაღალ საფრთხეებზე იფიქრონ!

ამ შემთხვევაში, აბსოლუტური თავდაცვის სისტემა არ არსებობს, მაგრამ კეთილმეზობლური ურთიერთობა უნდა შევინარჩუნოთ თურქეთთან და მეტი მუშაობა ვაწარმოოთ რუსეთთან, რათა საომარი ვითარების გამწვავების შემთხვევაში, ჩვენს თანამემამულეებს საფრთხე არ შეუქმნათ.

იმის გამო, რომ ჩვენ რუსეთთან არ გვაქვს დიპლომატიური ურთიერთობა, ჩვენი თანამემამულეების ბედ-იღბალი და მათდამი დამოკიდებულება მთლიანად რუსეთის ხელისუფლების კეთილ ნებაზე იქნება დამოკიდებული.

ესაუბრა
მედეა შელია

◎ ალიან-ჩალიანი

ისრაელის ელჩი საქართველოს მუსლიმ ლიდერებს შეხვდა

ისრაელის ელჩი საქართველოში იუვალ ფუქსი აღმოსავლეთ საქართველოს მუფთის იასინ ალიევს და საქართველოს შეიხს რამინ იგიდოვს შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა ტოლერანტობის, განათლებისა და სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენელთა შორის დიალოგის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. განხილული იყო რელიგიებს შორის განსხვავებები, მრწამსთან დაკავშირებული და პოლიტიკური საკითხები. ისრაელის ელჩმა საქართველოში მადლობა გადაუხადა მასპინძლებს თბილი მიღებისთვის და ხაზგასმით აღნიშნა, რაოდენ მნიშვნელოვანია მშვიდობაზე ზრუნვა დღესაც და მომავალშიც.

რამდენიმე ქვეყანაში საქართველოს ელჩებს როტაციის ვადა ამოეწურათ

როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, როტაციის ვადა ამოეწურათ ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში საქართველოს ელჩს არჩილ ძულიაშვილს, სლოვაკეთის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩს ალექსანდრე ნალბანდოვს, სომხეთის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩს თენგიზ შარმანაშვილს, პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩს ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილს, ბრაზილიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს ელჩს ოთარ ბერძენიშვილს.

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს პრემიერ-მინისტრს უკვე წარუდგინა პრეზიდენტის განკარგულების პროექტი სამუშაო მივლინების ვადის გასვლის გამო აღნიშნული ელჩების თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“, — აცხადებენ საგარეო უწყებაში.

სამუშაო ადგილებს სახელმწიფო ვერ შექმნის, სამუშაო ადგილები ბიზნესმა უნდა შექმნას

— ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ განაცხადა. მთავრობა ყველაფერს აკეთებს, რომ ბიზნესის გარემოს ხელი შეუწყოს. „სახელმწიფომ, მთავრობამ ყველანაირად ხელი უნდა შეუწყოს ბიზნესს თავისი ახალი კანონების შემუშავებით, რეგულაციების გამარტივებით. ამ მიმართულებით ჩვენ ბევრი ვიმუშავეთ, ბევრი პროექტის განხორციელებული, თუნდაც ავიღოთ სოფლის მეურნეობის მიმართულებით, დაახლოებით, 139 ახალი საწარმოა არის შექმნილი. ბოლო სამი წლის განმავლობაში 90 000 ახალი სამუშაო ადგილი შექმნა, ეს არის კერძო სექტორი. მე მესმის, ეს შეიძლება არ არის ძალიან ბევრი, თუმცა პროგრესი არის. ეს პროცესი დაწყებულია და ამას ვერაფერი შეაჩერებს“, — განაცხადა კახა კალაძემ.

ჯი-ეიჩ-ენი, მედიანიუსი

◎ გამოძახილი

რას „იმკის“ მერკელი და რა შუაშია მოსკოვი და ვაშინგტონი პარიზის ტერაქტთან?

ტერორიზმთან ბრძოლის საკითხში საქართველოს აქტიურ ჩაბმულობაზე ექსპერტთა გარკვეული ნაწილი საუბრობს. რა სოციალური, პოლიტიკური და უსაფრთხოების კონტექსტები უნდა გაითვალისწინოს საქართველომ, რა როლი შეიძლება შეასრულოს პატარა ქვეყანამ გლობალურ პროცესებში და რამდენად „იმკის“ გერმანია და ზოგადად, ევროპა სირიელი დევნილებისთვის „კარების ფართოდ გახსნის“ შედეგებს?

Forge სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ინსტიტუტის დირექტორს ალექსანდრე რუსეცკის ესაუბრა.

ალექსანდრე რუსეცკი: საუბარია იმაზე, რომ ეს მიზანმიმართული პროცესია, რომელიც მიზნად ისახავს ევროპულ საზოგადოებაში დესტაბილიზაციის შექმნას. საჭიროა ეფექტურად მართვადი პროცესები არა მარტო სოციალურ, არამედ პოლიტიკურ და უსაფრთხოების კონტექსტში. პრობლემამ მიიღო საერთშორისო ხასიათი. იმას, რაც მოხდა საფრანგეთში, გამოხმაურება და სიტუაციის ესკალაცია მოჰყვა მაგალითად, კანადაში, რაც მეჩეთის დაწვით გამოიხატა. ბუნებრივია, საქართველოს ხელისუფლებას უნდა ქონდეს შეჯერებული პოლიტიკა და განასხვავოს კონტექსტები.

— რას გულისხმობთ ამ კონტექსტებში?

— საქართველო ყოველთვის მხარს უჭერდა როგორც საკუთარ ტერიტორიაზე მყოფ, ასევე ჩეჩნეთიდან შემოსულ დევნილებს. საქართველოს ხელისუფლებამ შეიძლება დახმარება შესთავაზოს საერთაშორისო საზოგადოებას და კონსულტაციები გაუწიოს დევნილების კუთხით. თუ მოხდება დევნილების გადმოსახლება-ჩასახლება, უნდა გავითვალისწინოთ ბევრი საკითხი, მაგალითად ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობა და ამან არ უნდა გამოიწვიოს ახალი პრობლემების შექმნა. რაც შეეხება პოლიტიკურ კონტექსტს, საქართველო საერთაშორისო საზოგადოების წევრია და ამ პროცესებში ჩვენც უნდა მივიღოთ მონაწილეობა. ჩვენ შესაძლებელია, საერთაშორისო საზოგადოებას ინოვაციური გადაწყვეტილება შევთავაზოთ დევნილთა განსახლების პროცესებში და გავუზიაროთ ამ პრობლემის მართვის საკუთარი გამოცდილება. შესაძლებელია საქართველოს ხელისუფლების ინიციატივით, ამ თემაზე საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება.

— დევნილების მიღება ისეთი ევროპული გრანდებისთვისაც კი, როგორიც საფრანგეთია, არ აღმოჩნდა უსაფრთხო. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები კი, უსაფრთხოების გაძლიერების თვალსაზრისით, ნატოს კონტინგენტის გაზრდას ითხოვენ. დაუშვა ევროპამ შეცდომა, როდესაც ასიათასობით სირიელ დევნილს კარი ფართოდ გაუღო?

— დევნილების შეშვება-არშეშვება მარტო ევროპაზე არ იყო დამოკიდული, აქ იდგა ლეგალური და არალეგალური მიგრაციის საკითხიც. ევროპელებმა ისიც გაითვალისწინეს ალბათ, საზღვარი რომ ჩაეკეტათ, გაიზრდებოდა არალეგალ მიგრანტთა რაოდენობა, რომელთა გაკონტროლებაც კიდევ უფრო რთული აღმოჩნდებოდა. ამით მათ სტრატეგიული გადაწყვეტილება მიიღეს, მაგრამ რამდენად სწორი იყო ეს გადაწყვეტილება, ერთი ხელის მოსმით ამის შეფასება არ შეიძლება.

ვფიქრობ, დევნილთა შესვლას ევროპის ტერიტორიაზე, უფრო სისტემური ხასიათი უნდა ჰქონოდა. მეორე საკითხია ისიც, რომ ტერორისტული აქტები დევნილების გადასახლებასთან, პირდაპირ კავშირში შეიძლება არც იყოს.

— ფრანსუა ოლანდის განცხადების მიუხედავად, რომ ტერაქტი სირიაშია დაგეგმილი და ბელგიაშია მომზადებული?

— ოლანდმა გააკეთა ეს განცხადება, თუმცა, აქ საუბარია იმაზე, ვინ იყო ამ ტერაქტების ორგანიზატორი. ბელგიაში სირიელების კომპაქტური დასახლებიდან რამდენიმე კაცის აყვანა არ ნიშნავს იმას, რომ ფართომასშტაბიანი აქცია იქ იყო დაგეგმილი. ამ ტერაქტის თაობაზე არსებობს რამდენიმე მოსაზრება. ექსპერტების ნაწილი მიუთითებს, რომ ეს აქტები მოსკოვის ორგანიზებით მოხდა და ამის არგუმენტირებული ფაქტებიც მოჰყავს, თუ რაში აწყობდა ეს მოსკოვს.

ექსპერტთა მეორე ნაწილი ამერიკის ინტერესებზე საუბრობს. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ტერაქტების ორგანიზება „ისლამურმა სსახელწმიფომ“ აიღო თავის თავზე. ამიტომ, ვისი ორგანიზებით მოხდა და ვის აწყობდა, ეს თემა უფრო ღრმა ანალიზს მოითხოვს.

ყოველ შემთხვევაში, ამ სიტუაციაში საქართველოს ხელისუფლებას უფრო აქტიური პოზიცია უნდა ეკავოს, რადგან პატარა ქვეყანამაც შეიძლება გარკვეული როლი შეასრულოს მიმდინარე პროცესებში.

— რამდენად ეთანხმებით ექსპერტთა იმ მოსაზრებას, რომლებიც თვლიან, რომ მერკელმა მიუხედავად ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობისა, მილიონობით დევნილი გერმანიაში იაფი მუშახელის მიღების სურვილით შეუშვა, ეს კი ევროპას ცუდად მოუტრიალდა?

— ექსპერტთა გარკვეული ნაწილი ამ მოსაზრებას მართლაც იზიარებს, მაგრამ მომხდარის ფონზე, რატომ მიიღო მერკელმა ეს გადაწყვეტილება, მსგავსი შეფასებების გაკეთება არასწორია. როგორ გაგრძელდება პროცესები, რა გადაწყვეტილებები იქნება მიღებული დევნილების ახალ ტალღასთან დაკავშირებით, ეს კომპლექსურად გადასაწყვეტი საკითხებია. დევნილები, როგორც არ უნდა იყოს, აგრესიის ფაქტორად და ტოტალურ მკვლელებად არ უნდა განვიხილოთ, მიუხედავად იმისა, რომ ტერორისტები არიან მათ შორის. გავრცელდა ასევე ინფორმაცია, რომ დაკავებულთა შორის რუსეთის მოქალაქეებიც არიან. მე არ ვიცი, რა გადაწყვეტილებას მიიღებს საქართველოს მთავრობა უშიშროების საბჭოს მოწვევის შემდეგ, მაგრამ, მეტი უსაფრთხოების და გამჭვირვალობის გათვალისწინებით, კარგი იქნებოდა ამ საკითხებზე ექსპერტებთან ერთად ემსჯელათ.

ეკა ბუჩუკური

◎ კაკალ გულში

ნერცოლოჯანი ოჯახები

● **იაპონური მამლებივით ყავთ ნაცებს ეს ხერხეულიძე, ვაშაძე, წიკლაური და თაქთაქიშვილი... საძიებელაო როა, მაშინ უშვებენ სხდომებზე, სხვა დღეებში „არები“ უწერიათ.**

● **თავდებში ჩამიდექი რა, სიგარეტის გამოტანა მინდა განვადებით.**

● **„თქვენ ერდოღანს რომ ესვრით, ის კაცები ხართ, მე რომ მესვრით ის კაცები არ ხართ, წუპაკო მამაძაღლებო თქვენ“! -განაცხადა დათა ალიევმა.**

● **პარლამენტში ფრაქცია ნაციონალურმა მოძრაობამ ჯვარედინი დაკითხვა მოუწყო მთავარი პროკურორობის კანდიდატს და ისეთი პირი უჩანს, აღარ გამოუშვებენ, ანუ დაიჭერენ კიდეც, რაც ახია, როგორც კანდიდატზე, ასევე მთლიანად საზოგადოებაზე.**

● **სააგენტო „ბელგას ცნობით, დღეს დილით ბრიუსელის ცენტრალური მეჩეთიდან მლოცველების ევაკუაცია მოხდა, ამის საბაბი გახდა, საფოსტო კონვერტი, რომელშიც გაურკვეველი თეთრი უსუნო ფხვნილი ეყარა, მეჩეთის იმამმა პოლიციას შეატყობინა და დახმარება სთხოვა.. ამ დროისთვის საეჭვო კონვერტს ბელგიის ფედერალური პოლიციის სპეცლაბორატორიაში უტარებენ შემოწმებას..**

● **მინამ სინამ კუბლაშვილები ბუკიას ბაღში იცხოვრებენ, ვერც იბერია გაბრწყინდება, ვერც გურჯისტანი, ვერც ოდიში და ვერც ფარცხანაყანევი!!! თუ ვღადაობდე, მე ვიყო პადოშა ხაჩიძე!!! ცვეტში ვბაზრობ!!!**

● **„2016 წლის თბილისის ბიუჯეტი — ცხოველთა მონიტორინგი - 3 მილიონ 101 ათას 140 ლარი, დეზინფექცია — 500 ლარი , ცხოველთა მოვლა-შენახვა 220 000 ლარი“**

ამის ნახევარი მოსახლეობის მონიტორინგზე და გამოკვებაზე დაეხარჯათ ამ ვირიშვილებს, ამათ!!!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ



პარლამენტის ვიცე-სპიკერ მანანა კობახიძესთან შეხვედრის შემდეგ „პატრიოტთა ალიანსმა“ შიმშილობის აქცია შეწყვიტა. ცნობილია, რომ პარტია პარლამენტს საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების საკუთარ ვარიანტს სთავაზობს. პარტიის ლიდერის, ირმა ინაშვილის თქმით, თუ მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, „პატრიოტთა ალიანსი“ შიმშილობას და საპროტესტო აქციებს გაზაფხულიდან განაახლებს.

შეთავაზებული საარჩევნო ცვლილებებით, ინაშვილის განმარტებით, ადმინისტრაციული რესურსები შეიზღუდება, ხოლო არჩევნებში მონაწილეობა ყველა მოქალაქისთვის სავალდებულო გახდება. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ გარკვეული სახის სანქციები შეეხებათ.

რამდენიმე დღის წინათ „ქართულმა ოცნებამ“ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს საარჩევნო ცვლილებებთან დაკავშირებით შემუშავებული პროექტი გააცნო, რომელიც გულისხმობს საარჩევნო ოლქების რეფორმირებას მანდატების გათანაბრებისთვის, ხოლო 2020 წლიდან მოხდება პროპორციულ სისტემაზე გადასვლა. მაჟორიტარული არჩევნების შენარჩუნების პირობებში შემოდის 50%-იანი ბარიერი, რაც ოპოზიციის პერმანენტული მოთხოვნა იყო. საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით ექსპერტი ვახტანგ ძაბირაძე გვესაუბრება.

როდესაც პარტიის ლიდერი „ორთქმავალი“ ვერ იქნება!

— რამდენიმე დღის წინათ საპარლამენტო უმრავლესობამ საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით შეხვედრა გამართა არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებთან. ძირითად მოთხოვნასთან დაკავშირებით, ანუ რატომ იცვლება საარჩევნო სისტემა 2020-წლიდან და არა მომავალ წელს. უმრავლესობის პასუხი იყო, რომ პარლამენტში ყველა არ ეთანხმება მაჟორიტარული წესის გაუქმებას და არავის აქვს ბერკეტი, უმრავლესობას იძულებით მიაღებინოს ეს გადაწყვეტილება. როგორ ფიქრობთ, ეს რამდენად არგუმენტირებული მიზეზია?

უკეთესი ხარისხის პარლამენტის პრობლემას ვერც ერთი საარჩევნო წესი ცვლის და ვერც - მეორე

— სიმართლე გითხრათ, რასაც უმრავლესობა სთავაზობს ოპოზიციას, გაცილებით უკეთესია, ვიდრე არსებული სისტემა — პროგრესი ნამდვილად არის და წინგადადგმული ნაბიჯია. მაჟორიტარების ნაწილში 50%-იანი ბარიერი გარკვეულწილად ახდენს შესაძლებლობების ნიველირებას ოპოზიციისა და სახელისუფლებო კანდიდატებს შორის. ეს იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიცია იქნება ერთიანი და მეორე ტურში მაინც, ყველა ერთ კანდიდატს დაუჭერს მხარს, გამომდინარე იქიდან, რომ ძალიან ბევრ საარჩევნო ოლქში იქნება მეორე ტური. თუმცა ეს საკითხის ერთი მხარეა.

არის მეორე მხარეც — 50%-იან ბარიერს შემოვიღებთ, თუ მთლიანად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადავალთ, ეს ვერც პარლამენტის ხარისხზე იმოქმედებს, ვერც გაყალბებაზე და ვერც ადმინისტრაციული რესურსის ხელისუფლების სასარგებლოდ გამოყენებაზე. უბრალოდ, მოხდება ერთი რამ — თუ მაჟორიტარები დღეს ფულს ხარჯავენ იმაში, რომ ამომრჩეველთან უშუალოდ შეხება ჰქონდეთ, პროპორციული სისტემის დროს, იგივე მაჟორიტარები, გამსვლელ პარტიულ სიებში დაიწყებენ ადგილების ყიდვას.

ანუ, პრობლემა რომელიც ქვეყნის წინაშე დგას, არის ის, რომ გამჭვირვალე და დემოკრატიული არჩევნები ჩატარდეს და იმავდროულად, უკეთესი ხარისხის პარლამენტი მივიღოთ — ამ პრობლემას ვერც ერთი საარჩევნო წესი ცვლის და ვერც — მეორე.

რაც შეეხება ხელისუფლების განმარტებას, თუ რატომ არ იცვლება საარჩევნო წესი მომავალი წლიდან, მისი პოზიცია გასაგებია და ეს მართლაც ასეა, რადგან მაჟორიტარები, რომლებიც ფიქრობენ, რომ მათი რესურსები რომელიმე პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ უნდა დაიხარჯოს, ამ ცვლილებას ნამდვილად არ დაუჭერენ მხარს.

ეს ნიშნავს, რომ ეს ცვლილებები ან ვერ განხორციელდება ან უმრავლესობის ყოფნა-არყოფნა დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ. ამაზე ხელისუფლება, რა თქმა უნდა, არ წავა და ვფიქრობ, უმჯობესია, ოპოზიციამ მიიღოს ეს შეთავაზება.

ძალისმიერი მეთოდებით, როგორც ამას წინა ხელისუფლება აკეთებდა, დღევანდელი ხელისუფლება ვერ იმოქმედებს და სურვილიც რომ ჰქონდეს, შესაბამისი, ავტორიტარული მექანიზმები არა აქვს.

— ოპოზიცია ისტერიულად ითხოვს მაჟორიტარული წესის გაუქმებას - აქვს ამას თავისი მიზეზი? რას მოიგებენ ოპოზიციური პარტიები მთლიანად პროპორციულ სისტემაზე გადასვლით?

— ის პლუსია, რომ თუ ქვეყანაში რევოლუციური მდგომარეობა არ არის, მაჟორიტარული კვოტა ყოველთვის სახელისუფლებო კანდიდატებისთვის არის უფრო ხელმისაწვდომი. მათ მეტი შანსი აქვთ, რადგან ოპოზიციას ამდენი კონკურენტუნარიანი კანდიდატი უბრალოდ, არ ჰყავს.

მიუხედავად იმისა, რომ „ქართულ ოცნებას“ უწინდელი რეიტინგი აღარ აქვს, მაჟორიტარების ნაწილში არჩევნების მოგების და შესაბამისად, საპარლამენტო უმრავლესობის შენარჩუნების მეტი შანსი აქვს.

არ მინდა, ვინმეს პატიოსნება კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენო, მაგრამ თუ იქნება მთლიანად პროპორციული სისტემა, ოპოზიციას უჩნდება შანსი, რომ ის ხალხი, რომელიც მიუღებელია როგორც მაჟორიტარი, საარჩევნო სიაში ჩასვას ფინანსების მოსაზიდად. ამიტომაც იბრძვიან მაჟორიტარული სისტემის გასაუქმებლად. თუმცა როგორც უკვე ვთქვი, ეს ხარისხობრივად ვერ შეცვლის პარლამენტის შემადგენლობას და ვერც სახელისუფლებო რესურსების გამოყენების შესაძლებლობას შეზღუდავს. ისეთივე პარლამენტს მივიღებთ, როგორიც დღეს გვაქვს.

— ოპოზიცია უკმაყოფილოა საარჩევო ოლქების გამსხვილებით, როგორც აცხადებენ, ირღვევა ადმინისტრაციული საზღვრები და დაახლოებით 30 რაიონს მაჟორიტარი აღარ ეყოლება. ეს პრობლემაა თუ პროგრესული ნაბიჯი?

— ეს უფრო ადრე იყო გასაკეთებელი და არ ვთვლი, რომ პრობლემის შემქმნელია, მაგრამ აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული რაიონების სპეციფიკა.

საერთოდ, საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს საპარლამენტო არჩევნებისადმი. ხალხმა უნდა გაითავისოს, მაჟორიტარი იმისთვის კი არ არის, რომ ამომრჩეველს ოპერაციის გაკეთებაში დაეხმაროს ან წყალი გაიყვანოს, პარლამენტს სულ სხვა დანიშნულება აქვს და გზის გაყვანა არა პარლამენტის დეპუტატის, არამედ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საქმეა. ვფიქრობ, საარჩევნო ოლქების გამსხვილება ადგილობრივი ხელისუფლების როლს და მნიშვნელობას გაზრდის მოსახლეობაში.

— ოპოზიციურ პარტიებს თავიანთი წინადადებები აქვს ხელისუფლებასთან, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, ეს მოთხოვნები სრულად გაითვალისწინოს ხელისუფლებამ. თუმცა ოპოზიცია აანონსებს რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მომავალი წლიდან საპროტესტო აქციებს განაახლებს. როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია, რომ ასეთი აქცია მთლიანად არასაპარლამენტო ოპოზიციამ მოაწყოს და არა რომელიმე ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ?

— არ მგონია, მოსახლეობაში იყოს „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ გაერთიანების დიდი მოთხოვნა, მით უმეტეს, პროტესტის იმ ფორმით გამოხატვის, როგორიცაა შიმშილობა. შესაძლოა, პარტიულმა აქტივმა დაიწყოს შიმშილობა, მაგრამ მოსახლეობის კი არა, თავიანთი მხარდამჭერების მობილიზებაც გაუჭირდებათ.

მგონია, რომ თუ ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს, ეს ოპოზიციურ პარტიებს არც შედეგს მოუტანს (საარჩევნო წესის შეცვლას) და არც საარჩევნო დივიდენდებს.

გარდა ამისა, მრავალი წელია, საქართველოში პოლიტიკური სპექტრი დიდად არ შეცვლილა და ყველამ კარგად იცის, რა და რისთვის კეთდება. ასევე იციან, რითაც დამთავრდება — იშიმშილებენ, იშიმშილებენ და აქცია დაიშლება, როგორც არაერთხელ მომხდარა. რა თქმა უნდა, ეს იმ შემთხვევაში, თუ არჩევნებამდე ხელისუფლებამ რაღაც უსერიოზულესი შეცდომა არ დაუშვა.

— თქვენ აღნიშნეთ, რომ საარჩევნო სისტემის შეცვლა პარლამენტის ხარისხზე ვერ იმოქმედებს. რა არის საჭირო იმისათვის, რომ ოდესმე უკეთესი პარლამენტი გვქონდეს?

— ვფიქრობ, არსებობს ისეთი საარჩევნო სისტემა, რომელიც ჩვენი ქვეყნის სპეციფიკასაც და ინტერესებსაც უფრო უკეთ მოერგება — ეს საკმაოდ რთული თემაა, მაგრამ მოკლედ რომ ვთქვათ, საერთოდ გაუქმდება პროპორციული სისტემა და ქვეყანას ეყოლება მხოლოდ 150 მაჟორიტარი.

მგონია, რომ ეს მინიმუმამდე შეამცირებდა ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტებს, სახელმწიფო რესურსების გამოყენების შესაძლებლობას და პარტიებში ერთი ლიდერის ირგვლივ გაერთიანებას, ანუ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას შედარებით დაალაგებს. ასეთ შემთხვევაში გაჩნდება ხარისხობრივად უკეთესი პარლამენტის შეკრების შესაძლებლობა.

პარტიის ლიდერი, რა თქმა უნდა, იქნება იდეოლოგის ორიენტირი, მაგრამ არ იქნება „ორთქლმავალი“, რომელსაც უცნობი ადამიანები ჩაებმებიან და პარლამენტში მოხვდებიან.

— ანუ პოლიტიკური პარტიების აქტუალობის თემა შემცირდება?

— არა, უბრალოდ ლიდერი აღარ იქნება გამწევი ძალა. გახსოვთ, ალბათ, 2012 წელს ბიძინა ივანიშვილს ცარიელი კონვერტი რომ ეჩვენებინა ხალხისთვის და ეთქვა — აი, აქ არის სიაო, იმ კონვერტს მივცემდით ხმას — ეს პრობლემა მოიხსნება და პარტიების შიგნით შეიქმნება დემოკრატიული სიტუაცია.

მოგეხსენებათ, არის უამრავი პარტია, რომელსაც არჩევნებში მოგება-წაგების მიუხედავად, მუდმივად ერთი ლიდერი ჰყავს — საარჩევნო წესის ასე შეცვლა ბუნებრივად დასვამდა პარტიის ლიდერის საკითხს — ანუ, ფაქტობრივად, მთლიანად მოაწესრიგებდა პარტიულ ცხოვრებას.

ბუნებრივია, არსებობს უამრავი ნიუანსი, რომელიც გასათვალისწინებელი იქნება საარჩევნო წესის შეცვლის ამგვარად შემთხვევაში — კიდევ ვამბობ, ეს მხოლოდ უხეში მონახაზია იმისა, რაც, ჩემი აზრით, დაგვეხმარებოდა, ხარისხობრივად უკეთესი პარლამენტი და გამჭვირვალე საარჩევნო პროცესი გვქონოდა.

მარიამ თოდაძე

◎ ალიან-ჩალიანი

ირაკლი ბათიაშვილს იმედი აქვს, რომ მალე ტელეკომპანია „იბერიის“ საქმე წარმატებით დასრულდება

დემოკრატიული მოძრაობის წევრი ირაკლი ბათიაშვილი „იბერიის“ გადაცემა „პრიორიტეტში“ 2004 წელს ტელეკომპანიის დახურვას იხსენებს და ამბობს, რომ სწორედ „იბერია“ იყო მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის პირველი შეტევის ობიექტი.

„უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო ის, რომ ძალიან მოხარული ვარ, რომ ამდენი ხნის, ვაკუუმის შემდგომ, გამოვდივარ თქვენი ტელევიზიის „იბერიის“ ეთერით, იმიტომ, რომ მე უშუალოდ მომსწრე ვარ და მახსოვს, თუ რა გადაიტანა ამ ტელეკომპანიამ იმ სასტიკი რეჟიმის პირობებში და პირველი შემოტევის ობიექტი გახდა სწორედ „იბერია“ და როგორ დაატყდა სააკაშვილის ვანდალური რისხვა თავს „იბერიას“.

მინდა გითხრათ, რომ ერთ-ერთი გახმაურებული საქმე, უამრავ სხვა გახმაურებულ საქმეებთან ერთად, რომელზედაც მე მომიწია ბოლო პერიოდში ლაპარაკი, იგივე ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში, იყო ეს თავდასხმა ტელეკომპანია „იბერიაზე“ და მისი დახურვა და შემდგომ უკვე წართმევა მისი კანონიერ მფლობელებისთვის და მითვისება პირდაპირ, რათა მთლიანად გაექვავებინათ ეს ტელევიზია“, — განაცხადა ბათიაშვილმა.

მისი ინფორმაციით, „იბერიასთან“ დაკავშირებით მიმდინარე გამოძიება დასასრულს უახლოვდება.

„რამდენადაც საქმის კურსში ვარ, გამოძიება ტელეკომპანია „იბერიასთან“ დაკავშირებით, რაც მაშინ მოხდა 2004 წელს სააკაშვილის რეჟიმის დროს, თითქმის მისულია ბოლომდე, ყოველ შემთხვევაში მე ინფორმაცია

მაქვს გამომდინარე იქიდან, რომ თავად ვიყავი დაკითხული.

ნინო ეძვთიმიშვილი

რუსულ-თურქული მტრობა

რუსული სამხედრო თვითმფრინავის ჩამოგდებამ დიდი პრობლემები გააჩინა არა მარტო რუსეთ-თურქეთს, არამედ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, თანაც ისეთი, მრავალი წლის განმავლობაში დავიწყებას რომ არ მიეცემა. აღნიშნულმა ფაქტმა რომ უკიდურესი გაღიზიანება, უფრო სწორად სიბრაზე გამოიწვია, რუსეთის პოლიტიკურ-საზოგადოებრივ წრეებში, კარგად ჩანს რუსული სატელევიზიო არხებიდან. არაერთი სატელევიზიო „თოქ-შოუ“ მიეძღვნა ამ თემას და ყველა მათგანი აღვსილი იყო შურისძიების მუხტით.

როგორც ჩანს, თურქეთის პოზიცია მთელ რიგ საკითხებში რუსეთისთვის მიუღებელი იყო, მაგრამ თვითმფრინავის ჩამოგდებამდე ანგარიში ეწეოდა ეკონომიკურ კავშირებს. რუსეთი თვალს ხუჭავდა თურქეთის პოზიციაზე ისეთ საკითხებში, როგორებიცაა ყირიმის რუსეთში დაბრუნება; ყირიმელი თათრების თემა; სირიის პრეზიდენტის წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლა; ქურთების შევიწროება და სხვა.

რუსეთის მიერ ყირიმის საკითხის სათავისოდ გადაწყვეტამ სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია თურქეთში. ოფიციალური ანკარა აფიქსირებდა და აფიქსირებს თავის ნეგატიურ დამოკიდებულებას ამ საკითხთან მიმართებაში. მისი პოზიცია ემთხვევა უკრაინის დღევანდელი ხელისუფლების პოზიციას, უკრაინაში მცხოვრები ყირიმელი თათრების ნაწილის პოზიციას, რომლებიც მხარს უჭერენ ოფიციალურ კიევს.

დღიდან ყირიმის რუსეთთან მიერთებისა, თურქეთმა გააააქტიურა კავშირები ნახევარკუნძულთან, დანიშნა საბორნე მიმოსვლა, წამოიწყო ბიზნესი, რაც ერთი შეხედვით რუსეთის წისქვილზე უშვებს წყალს, მაგრამ ერთის შეხედვით. პარალელურად, თურქეთმა მჭიდრო იატაკქვეშა კავშირები დაამყარა ყირიმელ თათრებთან, დააფინანსა ისინი და აშკარად შეუწყო ხელი სეპარატიზმის გაღვივებას, ანტირუსულ პოლიტიკას.

თურქი პოლიტიკოსები აღარც იმის განცხადებას ერიდებოდნენ, ყირიმი 2030 წელს თურქეთის შემადგენლობაში მოექცეოდაო. აღნიშნულიდან გამომდინარე, გამოკვეთილია ორპირული თურქული პოლიტიკა, რომელსაც ძირი ისტორიული აქვს.

ამის შემხედვარე, უმალ თვალწინ გვიდგება აჭარა, სადაც თვალნათელია აჭარის ეკონომიკური ოკუპაცია. სხვას ვერაფერს იტყვი, როდესაც თურქეთის მიერ აჭარაში გახსნილი საწარმოები ძირითადად სარფს იქით მცხოვრები თურქებით არის დაკომპლექტებული.

ბოლო წლებში ბათუმმა, მოსახლეობის რაოდენობით გაუსწრო ქვეყნის მეორე ქალაქ ქუთაისს, რაც თურქული ექსპანსიის შედეგია. დამოუკიდებლობის ჟამს 30000 თურქი „შეიძინა“ ბათუმმა. თურქული გადმოსახლება ისეთი ტემპით მიმდინარეობს, რომ მალე ბათუმის მოსახლეობა 200000 მიაღწევს, ცხადია, არა დემოგრაფიული სურათის გაუმჯობესებით, არამედ მეზობელი ქვეყნის გაღვივებული მადის შედეგად.

თურქი იდეოლოგების გეგმით, გათვალისწინებულია „დიდი ოსმალეთის“ აღორძინება, რაც პირდაპირ შეეხება საქართველოს და არა მარტო მას. წაიკითხეთ დღევანდელი პრემიერის დავუთოღლუს წიგნი „სტრატეგიული სიღრმე“ და უმალ მიხვდებით თურქულ ჩანაფიქრს.

საქართველოს თურქიზაციას უდავოდ შეუწყო ხელი ყოფილმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა, რომელმაც 2000-ზე მეტ თურქს ქართული პასპორტები ჩამოურიგა. რად ღირს სააკაშვილის განცხადება, რომ საქართველოს ისტორია თურქებთან მიმართებაში გაყალბებულია და თურქები არასდროს ყოფილან საქართველოს მიმართ მტრულად, აგრესიულად განწყობილნი. მან მოწმედ მოიყვანა საკუთარი დედა, გიული ალასანია, თურქოლოგი და რამდენიმე თურქული უნივერსიტეტის დამფუძნებელი.

თურქული გავლენა რომ მარტო აჭარაზე ვრცელდებოდეს, რა გვიჭირს — მთელ საქართველოზე ვრცელდება. როდესაც ქვეყნის სავაჭრო ტვირთბრუნვის 75% თურქეთზე მოდის, თავისუფლად შეიძლება იმის თქმა, რომ მეზობელი გვაკონტროლებს.

დავუბრუნდეთ ყირიმს. იქაური თათრების ექსტრემისტული ძალები, რომლებიც ყირიმის გარეთ, უკრაინის ტერიტორიაზე არიან, ანტიდონბასური ბრძოლით გამოირჩევიან. დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო ძალების წინააღმდეგ არაერთი ყირიმელი თათარი იბრძოდა, თათართა სპეცრაზმებში, რომლებსაც საბრძოლო წრთობა სირიაერაყის ტერიტორიაზე გამაგრებულ ე.წ. ისლამურ სახელმწიფოში მიიღეს.

რაც შეეხება ბაშარ ასადს და სირიის ხელისუფლებას — აქაც ოფიციალური ანკარისა და მოსკოვის პოზიციები დიამეტრალურად განსხვავდება. თურქეთი რახანია იბრძვის სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის დასამხობად და ახლო აღმოსავლეთში საკუთარი პოზიციების გასამაგრებლად, რაც ნიშნავს სირიის ტერიტორიაზე კონტროლის დაწესებას, ბაშარ ასადის ნაცვლად თურქეთისთვის ლოიალურად განწყობილი სირიული ხელისუფლების ჩამოყალიბებას.

თურქეთი, რომელმაც რახანია ზურგი შეაქცია საკუთარ დოქტრინას, აგრესულ პოლიტიკას მიმართავს. დოქტრინა გულისხმობდა ყველა მეზობელთან კარგი ურთიერთობის ქონას - მშვიდობიან თანაცხოვრებას. სირიასთან, ამჟამად რუსეთთან, ერაყთან, ისრაელთან, ეგვიპტესთან, სხვებთან დაძაბული დამოკიდებულება თავისთავად ღაღადებს თურქული შორსმიმავალი გეოპოლიტიკური პროექტის ცხოვრებაში გატარებას.

თურქეთი ვერ იტანს ირანის როლის გაფართოებას სირიასა და ერაყში. შიიტური ირანი მისთვის თურქული პროექტის განხორციელების ბარიერია. მაინც, რა იგულისხმება თურქულ პროექტში? — უპირველესად, „დიდი თურქული იმპერიის“ აღორძინება. აღნიშნული პროექტი რამდენიმე წლის წინათ შეიმუშავა თურქმა სწავლულმა და ბიზნესმენმა ფეთხულა გიულენმა.

ეს პიროვნება, მრავალი წლის განმავლობაში ერდოღანის პირველი მრჩეველი იყო. მოგვიანებით მათ შორის „შავმა კატამ“ გაირბინა და ერდოღან-გიულენი სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდნენ ერთმანეთს. ფეთხულა გიულენი რახანია აშშ-ში ცხოვრობს, მაგრამ დისტანცია მას ხელს არ უშლის სამშობლოში არსებული „გიულენისტებისთვის“ შესაბამისი ფინანსურ-იდეოლოგიური დახმარების გაწევას.

გიულენი მილიონერია და ის პიროვნებაა, რომელსაც უამრავი მიმდევარი ჰყავს. ანკარის მიერ გიულენი მტრადაა შერაცხული, მაგრამ მისი მოძღვრება „დიდი თურქეთის“ შექმნასთან დაკავშირებით ძალაშია. გიულენი აქტიურად მოქმედებს „ოსმალეთის იმპერიის“ ხვალინდელ ტერიტორიებზე საგანმანათლებლო ცენტრების შესაქმნელად. ამიერკავკასიაში, კერძოდ აჭარაში მოქმედებს გიულენის მიერ შექმნილი მედრესეები, სადაც ახალგაზრდებს აახლოებენ თურქულ კულტურასთან, სუნიზმთან, „დიდი თურქეთის“ მოძღვრებასთან.

„დიდი თურქეთი“ თავის საზღვრებში ჩრდილო კავკასიასაც და რუსეთის სხვა ტერიტორიებსაც მოიაზრებს, ისე, როგორც ცენტრალური აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს.

სირიაში დაწყებული ანტიასადური ამბოხი, რომელიც მოგვიანებით ტერორისტულ ომში გადაიზარდა, ოფიციალური ანკარის შორსმიმავალი გეგმის ნაყოფია. თურქეთი, ის ქვეყანაა, წლების განმავლობაში რომ წვრთნიდა, აიარაღებდა და სირია-ერაყის ტერიტორიაზე შეჰყავდა ანტიასადური ძალები. თურქეთი, ის ქვეყანაა, რომელიც დიდ სარგებელს ნახულობს ე.წ. ისლამურ სახელმწიფოსთან საქმიანი კონტაქტებით.

თურქეთი, ის ქვეყანაა, რომელიც საკუთარ ტერიტორიაზე ატარებს „ისლამური სახელმწიფოდან“ წამოსულ ნავთობმზიდებს და საზღვაო პორტ ჯეიჰანიდან გასაყიდად გააქვს მსოფლიო ბაზარზე. ენერგომატარებლებით შემოსული „შავი“ ფული — დღიურად მილიონნახევარი დოლარი, კვებავს „ისლამურ სახელმწიფოს“. გარდა ამისა, ერთი იმდენი ილექება სატრანზიტო ქვეყნის მოვაჭრეთა, ანუ თურქ ბიზნესმენთა ჯიბეში.

სიტყვით, თურქეთი ებრძვის „ისლამურ სახელმწიფოს“, საქმით მასთან თანამშრომლობს. თურქეთი აშშ-ის მიერ შექმნილ „ანტიისლამური სახელმწიფოს“ კოალიციის წევრია, სწორედ იმ კოალიციისა, რომელიც ერთი წელიწადია, ვითომ ებრძვის „ისლამურ სახელმწიფოს“. სინამდვილეში, ურთიერთობს მასთან არა მარტო ნავთობის „შავ“ ბიზნესში, არამედ არტეფაქტების შესყიდვაშიც. „ისლამური სახელმწიფოს“ შემოსავალი, სირიის ტერიტორიაზე არსებული კულტურის საუკუნოვანი ძეგლების ბარბაროსული ნგრევა და ნაწილ-ნაწილ გაყიდვაა. მყიდველნი თურქი ბიზნესმენები არიან.

„ისლამურ სახელმწიფოსთან“ „შავი“ ბიზნესის წარმოებაში ცნობილია თურქეთის პრეზიდენტის ერდოღანის ვაჟიშვილი. ასე რომ, საქვეყნო საქმეს წინ უსწრებს და თრგუნავს კერძო. ეს ფაქტები ყველასთვის არის ცნობილი, მათ შორის აშშ-ის ადმინისტრაციისა და ნატოს წევრი სახელმწიფოებისთვის, მაგრამ რეაქცია არ ჩანს. რაც ჩანს — ლიტონი განცხადებებია — „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლა.

ერთობ შეხმატკბილებული იდილია რუსეთმა დაარღვია ე.წ. ისლამურ სახელმწიფოზე საჰაერო-კოსმოსური ძალების შეტევით, ბენზინმზიდი ცისტერნების და ნავთობგადამმუშავებელი ქარხნების განადგურებით. ეს შეტევა თურქეთმა და მისმა ნატოელმა მოკავშირეებმა, მათ შორის აშშ-მა, პირად გამოწვევად მიიღეს, მაგრამ თურქეთისთვის მას სხვა მნიშვნელობაც აქვს — „შავი“ ბენზინის გაყიდვით შემოსული ფულის შემცირება.

სირიაში რუსეთის აქტიურმა გამოჩენამ, ფაქტობრივად, გაანადგურა აშშ-ის გეგმებიც, ანუ ბაშარ ასადის ჩამოგდება, „ისლამური სახელმწიფოს“ ახლო აღმოსავლეთში გაბატონება, მართვადი ქაოსის შექმნა და ტერორის რუსეთის წინააღმდეგ მიმართვა.

თურქეთის მიერ რუსული თვითმფრინავის ჩამოგდება გაფრთხილებაა რუსეთისთვის. მიზანი? — რუსეთის ავიაციის მოქმედების შეჩერება, ბაშარ ასადის გაწირვა, სირიიდან გამოსვლა და ახლო აღმოსავლური გეოპოლიტიკური საჭის აშშ-სთვის ჩაბარება. დანარჩენი დეტალებია — დაარღვია თუ არა რუსულმა თვითმფრინავმა თურქეთის საზღვარი, თურქეთის პრეზიდენტის და პრემიერის განცხადებები, რომ თურქეთი არავის აპატიებს საკუთარი საზღვრის დარღვევას.

კეთილი, მაგრამ თვით თურქეთის ავიაცია რომ სისტემატურად არღვევს ნატოს წევრი საბერძნეთის საზღვრებს? მსგავსი დარღვევა, წელს 20-ჯერ მოხდა. საბერძნეთი ისე არ პასუხობს, როგორც თურქეთმა რუსეთს უპასუხა, ვინაიდან თურქული სამხედრო თვითმფრინავებით საბერძნეთის საზღვრის დარღვევა არ ემუქრება საბერძნეთის მოსახლეობის უსაფრთხოებას, ისე, როგორც თურქეთის საზღვრის წამიერი დარღვევა, არაფრით ემუქრებოდა თურქეთის მოსახლეობას. თურქეთის მხარე აცხადებს, რომ 10-ჯერ გააფრთხილეს რუსი მფრინავები. გააფრთხილეს და ჩამოაგდეს.

საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულია გაფრთხილება, დამრღვევი თვითმფრინავის იძულება, გავიდეს ქვეყნიდან, გამაფრთხილებელი სროლის განხორციელება და ა.შ. რაც თურქულმა მხარემ არ გამოიყენა.

ამ პროვაკაციამდე თურქეთ-რუსეთს შორის მეგობრული ურთიერთობები სუფევდა, რაც თავისთავად ზღუდავს თუნდაც, საჰაერო საზღვრის დარღვევის შემთხვევაში, მსგავს ქმედებას. რუსული მხარის მტკიცებით, მას საზღვარი არ დაურღვევია.

რა შეიძლება მოჰყვეს ესოდენ არასასიამოვნო ამბავს? რუსეთ-თურქეთის ეკონომიკური კავშირების შეზღუდვა; რუსულ-თურქული ენერგეტიკული პროექტების შეჩერება; რუსული ტურიზმის შეზღუდვა; პოლიტიკური დამოკიდებულების გაუარესება, რაც თავისთავად გამოიწვევს ორი ქვეყნის დაპირისპირებას.

თვალი გადავავლოთ რუსულ-თურქულ ეკონომიკურ კავშირებს. **თურქეთის ეროვნული პროდუქტის 40% რუსეთთან ვაჭრობაზე მოდის, რის შედეგად, ყოველწლიურად, 40 მილიარდი დოლარი შედის თურქეთის ბიუჯეტში. თურქეთის ბუნებრივი აირით უზრუნველყოფა რუსული გაზის 60%-ით არის გარანტირებული. რუსეთის ბაზარი ღიაა თურქული სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროდუქციისთვის. პირველ ნაბიჯად რუსეთმა აკრძალა საკუთარ ბაზარზე ქათმის ხორცის შეტანა. ყირიმის ნახევარკუნძულმა მთლიანად შეაჩერა თურქულ ბიზნესთან ურთიერთობა. მოსალოდნელია სხვა ღონისძიებებიც, მათ შორის ტურიზმის აკრძალვაც, რაც მძიმე დარტყმას მიაყენებს თურქეთის ეკონომიკას.**

რუსეთი არ ჩაყლაპავს თურქეთის მიერ მიყენებულ შეურაცხყოფას, თუნდაც თურქეთის მხრიდან დაგვიანებული ბოდიშის მოხდის შემდეგაც, თუმცა (ასეთი რამ ჯერჯერობით არ ჩანს) რუსეთი უფრო აქტიურად გააგრძელებს ბაშარ ასადის მხარდაჭერას და ტერორისტების პოზიციების დაბომბვას. გარდა ამისა, დაეხმარება ანტითურქულად განწყობილ ქურთულ მოძრაობას.

დღემდე, თურქეთის ხათრით, ქურთებთან მიმართებაში, რუსეთი თავშეკავებულად მოქმედებდა. დღეიდან, რუსეთი ყველანაირად შეეცდება ქურთული ძალის ამოქმედებას, რაც უსერიოზულესი თავსატეხი იქნება თურქეთის ხელისუფლებისთვის.

რუსეთი გაცილებით აქტიურად დაუჭერს მხარს თურქთა მიერ სომეხი ხალხის გენოციდის საკითხის სხვამხრივ ანუ თურქეთის საწინააღმდეგო გაჟღერებას, ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში თურქული პოზიციების შეზღუდვას.

რუსეთი აქტიურად ითანამშრომლებს ირანის მიმართულებით, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, რაც რეგიონში თურქეთის გავლენის შეზღუდვის მომასწავლებელი იქნება. რუსეთი ყველანაირად დაეხმარება ირანს რეგიონულ ლიდერად აღიარებაში, რაც თურქეთის ზურგში ისეთი ლახვრის ჩაცემა იქნება, როგორც რუსეთის ზურგში თურქული მახვილის.

რუსულ-თურქული ურთიერთობების გაუარესება, უდავოდ შეარყევს კავკასიაში შექმნილ ბალანსს, რაც იმოქმედებს სამივე ქვეყანაზე — საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთზე. თურქული ბიზნესი ვეღარ გაიხარებს აფხაზეთში, როგორც დღემდე. თავსატეხი გაგვიჩნდება ჩვენც, რის შესახებაც მომდევნო სტატიებში მოგახსენებთ.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

„თავის დროზე კონსულტაციები გვქონდა: ივანიშვილი - პრემიერად, ბურჭულაძე - საპრეზიდენტო კანდიდატად“

„მე და პაატა ვცდილობთ, პაატა დარჩეს აპოლიტიკური. მას არა აძვს სურვილი, პოლიტიკაში აძტიური მონაწილეობა მიიღოს და ეს ჩემთვის გასაგებია“, — განაცხადა ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნების წინ ბიძინა ივანიშვილმა და იმ პერიოდში მისთვის შეუცვლელ გიორგი მარგველაშვილის კანდიდატურას დაუჭირა მხარი.

დღეს კი პაატა ბურჭულაძესთან პოლიტიკა „თავად მივიდა“ და მისმა მოულოდნელმა არჩევანმა საფიქრალი გაუჩინა როგორც პოზიციას, ისე ოპოზიციას. მედიაში კითხვები მრავლადაა, ხომ არ არის პაატა ბურჭულაძე ბიძინა ივანიშვილის პროექტი? ან კიდევ, მსოფლიო ბანის პოლიტიკაში გამოჩენამ საძირკველი ხომ არ შეურყია „ქართულ ოცნებას“?

ექსპერტი **რამაზ საყვარელიძე** პაატა ბურჭულაძის ხელისუფლებაში მოსვლას საეჭვოდ მიიჩნევს და ფიქრობს, რომ ბურჭულაძე ივანიშვილს ვერ ჩაანაცვლებს.

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** კი აცხადებს, რომ სახელს — პაატა ბურჭულაძე, შეუძლია ფინანსების გარკვეული დონის აკუმულირება, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, რადგან ბურჭულაძის გარშემო სრული კოლაფსია და ის პიროვნებები, რომლებიც ამ ახალი პოლიტიკური პროექტის დიდ კონსტრუქციად უნდა იქცნენ, ვერ იწვევენ საზოგადოების დიდ ენთუზიაზმს.

პარტია „თეთრების“ ლიდერი **თემურ შაშიაშვილი** მსოფლიო ბანს უწინასწარმეტყველებს, რომ პოლიტიკაში მოსვლა პაატა ბურჭულაძეს მიწასთან გაასწორებს. მისი აზრით, საქართველოში ერთი პიროვნება მაინც უნდა დარჩეს, რომელიც ქველმოქმედებას სწევს ქველმოქმედებისთვის და, სამაგიეროდ, პოლიტიკური აღიარებაც არ მოითხოვს, ვინაიდან, არ ჩანს ისეთი ადამიანი, რომელმაც ტაძარი ააშენა და შემდეგ პოლიტიკოსობა, დეპუტატობა, ან პრეზიდენტობა არ მოითხოვა.

For.ge-სთან საუბარში ექსპერტი **გია ხუსაშვილი** თვლის, რომ ერთადერთი, ვისთვისაც საფრთხეს წარმოადგენს ბურჭულაძე, „ქართული ოცნებაა“. მსოფლიო ბანი ვერ გადაიბირებს ვერც „ნაციონალების“ და ვერც ნინო ბურჯანაძის მომხრეებს, შესაბამისად, მისი ბაზა არის „ქართული ოცნების“ ელექტორატი და უფრო მნიშვნელოვანია ის ელექტორატი, რომელიც დაკარგა „ქართულმა ოცნებამ“.

— პაატა ბურჭულაძემ მომავალი წლის საკონცერტო კონტრაქტები გააუქმა. ის მზადაა, ქვეყნის გარეთ გამართოს შეხვედრები, თვლის, რომ უსმენენ და უკმაყოფილოა ამ ხელისუფლების მუშაობით. ბიძინა ივანიშვილთან „ძალიან კარგი“ ურთიერთობის მიუხედავად, მსოფლიო ბანს არ მოსწონს, როცა მთავრობა ამბობს, ყველაფერი კარგადააო. არადა, სიტუაცია შესაცვლელია და ამაზე უმოქმედობა არ შეიძლება. ახლო წარსულშიც იყო დრო, როცა პოლიტიკური უმოქმედობა მართლაც არ შეიძლებოდა, მაგრამ ეს ნაბიჯი პაატა ბურჭულაძემ მაშინ არ გადადგა. თქვენი აზრით, ახლა რატომ უნდა გადაეწყვიტა მსოფლიო ბანს პოლიტიკაში მოსვლა?

— დიდი ხანია, პაატა ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში გარკვეულ როლს ასრულებდა. ის წარმატებული იყო თავის პროფესიაში, ქველმოქმედებას ეწეოდა თავისი ფონდის მეშვეობით, ინტეგრირებული იყო ამ პროცესში და მისი ავტორიტეტის ექსპლუატაცია ხდებოდა. მეტსაც გეტყვით, ჩვენ როდესაც ვიწყებდით საარჩევნო პროცესს, გარკვეული კონსულტაციები გვქონდა მასთან, რომ მასაც მონაწილეობა მიეღო ჩვენთან ერთად ამ პროცესში. ის, რომ პაატა ბურჭულაძე ხელოვანია, გასაგებია, გარკვეული სკეპტიციზმი იყოს ამასთან დაკავშირებით, მაგრამ ის არ არის მარტო ხელოვანი. ის ჩართული იყო ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში. რაც შეეხება მის პერსპექტივებს, ძნელი სათქმელია. ფაქტია, რომ ის დღეს შევიდა კონკურენციაში პირადად ბიძინა ივანიშვილთან, რადგან ის ველი, რაც პაატა ბურჭულაძემ აირჩია, პირველ ეტაპზე, ეს არის ბიძინა ივანიშვილის ველი — საზოგადოებრივი აქტივობა, ანალოგიურად გაცხადებული ამოცანები, ანუ ბიძინა ივანიშვილს აქვს თავისი პროექტი „2030“, აქვს საზოგადოება „მოქალაქე“, პაატამ კი ამის ალტერნატიული გზა წარმოადგინა. შესაბამისად, ის უკვე არის პოლიტიკაში და, პარტიას დააფუძნებს თუ არა, ეს უკვე მეორეხარისხოვანია. არც ბიძინა ივანიშვილია პარტიაში, მაგრამ ის რომ გავლენას ახდენს პროცესებზე, ამას არავინ არ უარყოფს. ბურჭულაძის ბიოგრაფიაც იმეორებს ბიძინა ივანიშვილის ბიოგრაფიას. პაატა ბურჭულაძე უკვე შეხვდა ბიძინა ივანიშვილს, ყოველ შემთხვევაში, ალასანიასა და ივანიშვილთან კონსულტაციებს არ უარყოფს, რაც ზოგიერთებში ეჭვებს აღძრავს, რა საერთო აქვთ ივანიშვილსა და ბურჭულაძეს?

არ ვიცი, შეხვდა თუ არა ბიძინა ივანიშვილს, ამის დამადასტურებული ფაქტი არ მინახავს. მე არ ვუყურებ ამ პროცესს ისე, რომ ეს ბიძინა ივანიშვილთან შეთანხმებული პროექტია. მით უმეტეს, პაატა ბურჭულაძის ძირითადი გზავნილები აშკარად კონფლიქტში შედის ბიძინა ივანიშვილის მოსაზრებებთან. ის უფრო ალტერნატივად წარმოადგენს თავს, ვიდრე პარტნიორად.

— ალტერნატივაში გულისხმობთ ირაკლი ალასანიასა და ვანო მაჭავარიანთან პაატა ბურჭულაძის დაახლოებას?

— ამას არ ვგულისხმობ, ეს ყველაფერი მომავლის საკითხია იმიტომ, რომ ერთია, განაცხადი და მეორეა, რეალური ქმედებები. პაატა ბურჭულაძემ კიდევ უნდა გაიაროს ქართულ საკმაოდ აგრესიულ და სახიფათო საცერში, რასაც ჰქვია გადარჩენისთვის ბრძოლა ქართულ პოლიტიკაში. ახლა დაიწყება შეტევა მასზე. ვნახოთ, როგორ გაივლის ამ პერიოდს და იმის მიხედვით ვიმსჯელოთ. ყველას აქვს შანსი და, თუ ვინმეს აქვს ამის უფლება, პაატა ბურჭულაძესაც შეიძლება ჰქონდეს ამბიცია, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში გააქტიურდეს და უფრო მეტი გავლენა მოიპოვოს.

— 2013 წლისთვის არასაპარლამენტო ოპოზიცია მსოფლიო ბანს საპრეზიდენტო კანდიდატად განიხილავდა. მაშინ ამბობდნენ, რომ პაატა ბურჭულაძე მარგველაშვილს აჯობებდა და ნაციონალები ვერ გაუწევდნენ კონკურენციას. იმ პერიოდში პაატა ბურჭულაძე ბიძინა ივანიშვილსაც შეხვდა და ივანიშვილი ამბობდა, მარგველაშვილს პაატა ბურჭულაძით არ ჩავანაცვლებ და მარგველაშვილს ბოლომდე ვენდობიო, მაგრამ, ამის მიუხედავად, ბურჭულაძის საპრეზიდენტო კანდიდატურას განიხილავდით?

— ჯერ კიდევ საარჩევნო პროცესში გვქონდა ამაზე კონსულტაციები პაატა ბურჭულაძესთან, რომ ტანდემი შექმნილიყო — ბიძინა ივანიშვილი — პრემიერ-მინისტრად და პაატა ბურჭულაძე — საპრეზიდენტო კანდიდატად. მეც ერთ-ერთი მონაწილე ვარ ამ საუბრების და ეს არც არის დასამალი. აჯობებდა თუ არა მარგველაშვილს, არა მგონია, დღევანდელი კონსტიტუციით, რასაც წარმოადგენს პრეზიდენტი, პაატა ბურჭულაძე მარგველაშვილზე უკეთესი კანდიდატი ყოფილიყო. თუმცა, იმ პერიოდში ბურჭულაძეს შეეძლო, თავისი სინერგია მიეცა რეჟიმთან ბრძოლის პროცესისთვის.

— რატომ არჩიეს მაშ მარგველაშვილი? თვითონ პაატა ბურჭულაძისგან ხომ არ იგრძნობოდა პასიურობა მის საპრეზიდენტო კანდიდატობასთან დაკავშირებით?

— მე არ მინდა, დეტალებში შევიდე, მაგრამ ფაქტია, საბოლოო ჯამში, არ შედგა ეს ალიანსი. ამას ბევრი მიზეზი ჰქონდა.

— პაატა ბურჭულაძის რუსულ ძალასთან გაიგივებას ცდილობენ და ფიქრობენ, რომ ქართულ პოლიტიკაში ის განსაკუთრებული დავალებით შემოდის. ასევე, საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს, რომ მას შეხვედრები ჰქონდა ექსპრეზიდენტ სააკაშვილთან. ეჭვობენ, რომ მან კონსულტაციები გაიარა „ნაცმოძრაობასთანაც“.

— ეს ცნობილი ტექნოლოგიაა საქართველოში, ნებისმიერ ახალ ძალას უნდა დაბრალდეს რუსეთთან ურთიერთობა. როგორ გაუძლებს ამ ყველაფერს მსოფლიო ბანი, არ ვიცით. მე ვფიქრობ, ტექნოლოგიურად სწორად მოიქცა პაატა ბურჭულაძე, როდესაც გვერდში დაიყენა ადამიანები, რომელთა ბრალდებაც პრორუსულობაში რთული იქნება, ანუ გარკვეული ბუფერი შექმნა, რომ ამ საკითხის მაღალ ტემპერატურამდე აწევა არ მომხდარიყო. გვესმის ცალკეული განცხადებები, რაზეც ვიღაც შეეცადა, აეგო რაღაც თეორია, მაგრამ მე ვურჩევ პაატა ბურჭულაძეს, მაინცდამაინც თავის მართლებას ნუ დაიწყებს ყველაფერზე, როგორც ამ ბოლო შემთხვევასთან დაკავშირებით მოხდა და მან რატომღაც გადაწყვიტა, თავი ემართლებინა. არაფერში არ სჭირდება თავის მართლება. მას სრული უფლება აქვს, თავისი აზრი ჰქონდეს იმავე 2008 წლის ომთან დაკავშირებით პასუხისმგებლობის გადანაწილების შესახებ. არ უნდა ჩადგეს თავდაცვის რეაქციაში.

— შესაძლოა, მაგრამ მაინც თითქოს დანაკლისი იყო მისი რეაქციის არარსებობა, როცა იგი აგვისტოს ომში ქართული მხარის ბრალეულობაზეც ალაპარაკდა. ალბათ, გახსოვთ, თავის დროზე ბიძინა ივანიშვილსაც ჟურნალისტები ვერ ათქმევინებდნენ, იყო თუ არა რუსეთი ოკუპანტი, ამიტომ ბურჭულაძის მეორე განცხადებამ, რომ რუსეთი ოკუპანტია და ქართული მხარე მიამიტურად არ უნდა წამოგებოდა მოსკოვის პოლიტიკას, დააცხრო მღელვარება.

— პოლიტიკოსს აქვს თავშეკავების ლიმიტი. თუ ყველაფერზე ასე იტყვის და მერე უარყოფს, ეს არ მიგულისხმიაო, ეს სისუსტეზე მეტყველებს. ამიტომ სჯობს, დაიცვა შენი პოზიცია და არ გაგიჩნდეს იმის კომპლექსი, რომ ვიღაც ამის გამო გაგკიცხავს და ამით დაიქცევა ქვეყანა.

— თუ გავითვალისწინებთ, რომ თავის დროზე პაატა ბურჭულაძეს საპრეზიდენტო კანდიდატურად განიხილავდნენ, მაშინ შეესაძლოა, გარკვეული ეტაპის გავლის შემდეგ სამომავლოდ უმიზნებდეს საპრეზიდენტო კამპანიას?

— საპრეზიდენტო კამპანიამდე კიდევ სამი წელია დარჩენილი. საპარლამენტო მოგვადგა კარს და საპარლამენტოს წინ იწყებს ეს ადამიანი აქტიურობას.

— პაატა ბურჭულაძე ილია მეორესთანაც დაახლოებული პირია, მახათას მთაზე ივერიის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა სწორედ მას ჩააბარა უწმინდესმა. მის პოლიტიკურ არჩევანში იგრძნობა საპატრიარქოსგან მხარდაჭერა?

— არ მგონია, საპატრიარქო ღია პოლიტიკაში ჩაერთოს და თავისი კანდიდატი ჰყავდეს ნებისმიერ არჩევნებზე. ეს არ იქნებოდა სწორი და პატრიარქი ამას არ გაკეთებს, თუმცა არსებობს ირიბი ფორმები, სადაც საპატრიარქოს კეთილგანწყობამ შეიძლება თავისი როლი ითამაშოს არჩევნებზე, თუკი არჩევნებამდე მივიდა საქმე. ეს ფაქტორი გასათვალისწინებელია. ის, რომ რეალური პოლიტიკური ალიანსი შედგება პაატა ბურჭულაძესა და საპატრიარქოს შორის, ამას გამოვრიცხავ, თუმცა საკითხი ძალიან სპეციფიკურია და ირიბად ეს კარტი შეიძლება იყოს ძალიან კარგად გათამაშებული.

— თავისი ნებით პოლიტიკაში მოსვლის სურვილი შესაძლოა, ნაკლებად უჩნდებოდეთ ხელოვან ადამიანებს. პაატა ბურჭულაძის განცხადებები, რომ უწმინდესი არის ადამიანი, რომელიც წყვეტს საქართველოს ცხოვრებას და იგი უნდა ერეოდეს პოლიტიკაში იმდენად, ვინც მას ეკითხება ჭკუას (და ჭკუას ამ დროს ეკითხება საზოგადოების დიდი ნაწილი), ხომ არ ნიშნავს, რომ მეტ-ნაკლებად, იგი საპატრიარქოსგან არის მოწოდებული?

— პაატა ბურჭულაძე ყოველთვის პოზიციონირებდა, როგორც მორწმუნე, საპატრიარქოსთან ინტენსიური ურთიერთობის მქონე საზოგადო მოღვაწე. პრინციპში, მას არ შეუცვლია ეს ურთიერთობა და ვერ ვიტყვით, რომ ის ამას აკეთებს პოლიტიკის გამო და ახლა სპეკულირებს საპატრიარქოს თემებით. მეორე მხრივ, ზედმეტი ექსპლუატაცია ამ თემის, არა მგონია, რომელიმე პოლიტიკოსისთვის მაინცდამაინც მომგებიანი იყოს. რა თქმა უნდა, საპატრიარქოს ფაქტორი შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი, თუკი სწორად და ჯანსაღად განვითარდება მოვლენები.

მანანა ნოზაძე

◎ ალიან-ჩალიანი

საქართველოში რუსული „ORT“-ს არსებული ფორმით საეთერო მაუწყებლობა აკრძალა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დააკისრა შპს „რ.ბ.ჯ“-ს, რომელიც რუსეთის ფედერაციის საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამების გამოყენებით მაუწყებლობდა.

კომისიის ცნობით, შპს „რ.ბ.ჯ“-ს დაეკისრა 2500 ლარის ოდენობით ჯარიმა, რადგან კომპანიას მაუწყებლობის დაწყებამდე სამაუწყებლო პროდუქციის მართლზომიერი ფლობის შესახებ შესაბამისი ნებართვები და ლიცენზიები არ წარუდგენია (აღნიშნული დარღვევისთვის კომპანიას 2015 წლის ივლისის თვეში წერილობითი გაფრთხილება უკვე მიეცა). კომპანია ასევე, წერილობით გაფრთხილდა კომისიაში რეგულირების საფასურის გაანგარიშებების წარუდგენლობის და საკუთარ ვებგვერდზე შესაბამისობის დეკლარაციის გამოუქვეყნებლობის გამო.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში გამართულ საჯარო სხდომაზე შპს „რ.ბ.ჯ“-მ ვერ დაადასტურა რუსეთის ფედერაციის საზოგადოებრივი მაუწყებელის ტელეპროდუქციის მართლზომიერი ფლობა, შესაბამისად კომისიის გადაწყვეტილებით ტელეკომპანიას შეუზღუდა იმ სამაუწყებლო პროდუქციით საეთერო მაუწყებლობა, რომლის კანონიერი უფლებაც არ გააჩნია, — აცხადებენ კომისიაში.

◎ სად ხართ, მამულიშვილნო?

სანამ სისხლი გვიდულს ძარღვში...

ეროსი კიწმარიშვილი, ნათელში ამყოფოს ღმერთმა, ჩემი მეზობელი იყო. მამამისი ერთი ბუნჩულა კაცი გახლდათ, პოეზიის მოყვარული, თვითონაც წერდა და მაკითხებდა.

ერთხელაც ყმაწვილი ეროსი დილდილაობით იაღლუჯზე მოვარჯიშეებს შემოგვიერთდა, მკვირცხლი იყო, სიცოცხლით სავსე.

მერე, რუსთაველის საზოგადოება რომ ჩამოყალიბდა, მე ახალგაზრდული განყოფილების ხელმძღვანელად ამირჩიეს. ეროსიც შემოგვიერთდა, იქაც გამოირჩეოდა, ახალ-ახალ ინიციატივებს გვთავაზობდა.

მერე სამედიცინო დაამთავრა. როგორი მკურნალი იყო, ვერ გეტყვით, მაგრამ მალე ქალაქის სამედიცინო სამსახურის ხელმძღვანელად დაინიშნა. თუმცა ეს არ იყო მისი სტიქია.

საკუთარი გაზეთი გამოუშვა, იმ დროისათვის არასტანდარტული, აშკარად რევოლუციური.

ჰოდა, ერთხელაც, მე ჩემი გაზეთის „მეტალურგის“ მორიგ ნომერს რომ ვუშვებდი, ის კი თავისას და სტამბაში მაგიდებთან პირისპირ რომ ვისხედით, მოულოდნელად მითხრა – ამ ხელისუფლებას ჭკუა რომ ჰქონდეს, უნდა გიყიდონო.

შევცბი. ასეთი რამ მანამ არავისგან არ მსმენია, მერე ვიფიქრე, ალბათ, ხუმრობს-მეთქი და მეც ავყევი – ამ მთავრობას, იმდენი ფული სადა აქვს-მეთქი, ვუთხარი.

გვიან მივხვდი, ორივენი მართლები რომ ვიყავით. მან თავისი გაზეთის სამიოდე ნომერი გამოუშვა. მაგრამ ამან ვერ დააკმაყოფილა. უფრო დიდ ასპარეზს ეძებდა და რუსთავის ადგილობრივ ტელევიზიაში გაიქაჩა.

საქმიანი და ენერგიული იყო, მეტალურგიული კომბინატის დირექციას აპარატურა შეაძენინა, „აზოტის“ ხელმძღვანელობას თავისი ტელევიზია დააფინანსებინა, მერე ორივე გააკრიტიკა.

ასე თუ ისე, ფეხი აიდგა, რუსთავი საასპარეზოდ ეცოტავა. თბილისში გადაბარგდა. მერე, „რუსთავი-2“ რა მონსტრიც გახდა, ყველამ იცის.

ეს მცირე შესავალი, ეროსისეული ბიოგრაფიის ნამცვრევი, უკვე ფაშისტური სამაუწყებლო ტელევიზიის გამო ატეხილმა აურზაურმა მომაყოლინა. ზოგჯერ მეჩვენება, რომ „რუსთავი-2“ ერის ბედისწერაა, სიმსივნესავით მოუშორებელი, განუკურნებელი... ჰა, ნაციონალები სადაცაა ჩაინაცრებიან, ჩაინავლებიან, ეგ ტელევიზია კი თავისი გვარამიათი, უდუმაშვილით, გაბუნიათი ისევ ჭირად გვქცევია, ნერვების მომშლელი, ერთთავად საზოგადოების მომშხამავი, სატანისებურად დაგვჩხავის, ავბედითად შემოგვწყრომია და მიცვალებული მიშიკოსა და მისი ავადსახსენებელ ამქრის ბაირახტად ქცეულა.

უბედურებაა, აბა რა, ეგ ნიკა გვარამია, მიშას ნაპროკურორალი, ნაციონალებთან ერთად „იმედისა“ და სხვა ტელევიზიების მნგრეველი, ნეტარხსენებული მამულიშვილის ბადრი პატარკაციშვილის სიტყვის ანუ ჩანაწერების გამყალბებელი, ამ ღვთისნიერი უანგარო პატრიოტის სიცოცხლის მომსწრაფველი, ათასი ჯურის სიავის მქმნელი, დღეს თავისუფალი სიტყვის მებაირახტედ რომ გვევლინება. **ნუთუ ამისთვის ვიბრძოდით, ამისთვის ვიდექით ქარსა და წვიმაში ასი, ორასი თუ სამასათასიანი მოლაშქრენი რუსთაველზე, რიყეზე, ჰიპოდრომზე, სხვაგან და სხვაგან?** ან ეს ავად გამოჩეკილი არასამთავრობოები, ეს უკეთური პარტიები. შალვა ნათელაშვილ-კუკავა და კიდევ ამერიკელი თუ ევროპელი ელჩები ჩვენ რომ ჭკუას გვასწავლიან, დემოკრატიას გვიქადაგებენ და ეროვნულ ცნობიერებას გვინგრევენ, გვრყვნიან და გვათახსირებენ, როდემდე უნდა ვითმინოთ ეს უმსგავსობა?

სასამართლო დამოუკიდებელი და სამართლიანი უნდა იყოსო! **ამ დროს კი სამართლიანი მოსამართლე ლამის შეჭამეს, გადაუარეს მთელ სასამართლო სისტემას, თავზე გადაახიეს, გადამსხვრიეს სამართალი. ეს ხომ ჩვენი სახელმწიფოს, მისი დამოუკიდებლობის აბუჩად აგდებაა!**

სადა ხართ თქვენ, ერისკაცებო, მამულიშვილნო, სამშობლოს მოამაგენო, მარტო რეზო ამაშუკელის ამარად რად ტოვებთ ქვეყანას? საქმე საქმეზე რომ მიდგება, მარტო 1800-ზე მეტი მწერალი ჰყავს ქვეყანას, რომელთაგან, როცა სამშობლოს უჭირს, მხოლოდ ორიოდე კაცი თუ ამოიღებს ხმას. ან რობერტ სტურუას გარდა სხვანი არ არიან მამულის გულშემატკივარნი? სადამდე უნდა ვისხდეთ ჩირგვებში?

ერო და ბერო, ნიკა გვარამიამ, გიორგი გაბუნიამ, უდუმაშვილმა და რამდენიმე მგელმა როგორ უნდა შეგვჭამონ?

მოდით, პოეტისა არ იყოს, ერთად დავდგეთ, „სანამ სისხლი გვიდულს ძარღვში!..“

გივი ჯახუა,

საქართველოს მწერალთა კავშირისა და მსოფლიოს მწერალთა ასოციაციის წევრი, დ. კლდიაშვილის, ს. მესხისა და მწერალთა კავშირის პრემიების ლაურეატი. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტი

Georgia Oil and Gas Limited

აცხადებს აუქციონს ნედლი ნავთობის გაყიდვაზე

პროდუქცია წარმოდგენილი იქნება ორ ლოტად:

1. ნორიოს ნავთობი – 425 ტონამდე
2. საცხენისის ნავთობი – 270 ტონამდე

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა დეტალური ინფორმაციის გასაცნობად მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე:

თამარაშვილის ქ. №13ა, სადარბაზო 2, სართული 5, ბ.30

პირობების ელექტრონული ვერსიის მისაღებად ჩვენი ელ. ფოსტის მისამართია: info@georgiaoilandgas.ge

გაცნობებთ, რომ განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2015 წლის 6 დეკემბერი.

ფულიანი ბიზნესმენების საყურადღებოდ!

ვისაც გსურთ 1 000 000 აშშ დოლარის მოგება ერთ წელიწადში, გამოგვეხმაურეთ!

გთავაზობთ 4 ან 5 ადამიანს კარგ ეკონომიკურ საქმიანობაში ჩაბმას, საკუთრებაში მაქვს 1000 კვ.მ. მიწის ფართი (ქ. თბილისი, ოპერის მიმდებარე ტერიტორიაზე). შეიძლება არანაკლებ 5500 კვ.მეტრი საცხოვრებელი ფართის აშენება. ხოლო კომერციული საქმიანობის მიზნით ამჟამად გვაქვს დამტკიცებული მშენებლობის ნებართვა.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით მესაკუთრეს საკუთრებაში არსებული მიწის ფართზე შეიძლება გამოყენებული იქნას მრავალფუნქციური (მათ შორის საცხოვრებელი დანიშნულების მიზნით) არანაკლებ 3 000 000 (სამი) მილიონი ინვესტიციის განხორციელება.

მსურველებს გთხოვთ, დამიკავშირდეთ ტელეფონზე 577 46 93 53, ზევსი.

◎ კომერციული ბანკები

ვინ არის დამნაშავე კრედიტების გაძვირებაში?

კომერციულმა ბანკებმა დაკრედიტების პირობები გაამკაცრეს. გაიზარდა საპროცენტო განაკვეთები და სესხებს უფრო ფრთხილად გასცემენ. ბანკებისთვის დაკრედიტების სამიზნე ისევ ვაჭრობაა, რაც რეალური სექტორის განვითარებას არ უწყობს ხელს. მას შემდეგ, რაც ეროვნულმა ბანკმა რეფინანსირების სესხების მოცულობის ზრდა შეწყვიტა, კომერციული ბანკები იძულებულები გახდნენ, დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები გაზარდონ და ლარის რესურსი ამ გზით მოიზიდონ.

ასეთმა მიდგომამ ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხები კიდევ უფრო გააძვირა. ბოლო პერიოდში ფიზიკური პირებისთვის განაკვეთი 2.1%-ით გაიზარდა და 24.5%-ს მიაღწია. დოლარში გაცემულ კრედიტებზე განაკვეთი კი 0.1%-ით შემცირდა და 10.9%-ს გაუტოლდა. ამას ემატება ისიც, რომ ბანკები პრევენციისთვის სესხებს გასცემენ ლარში, თუმცა უკან იბრუნებენ დოლარის კურსით. ისინი ამას ლარის დევალვაციით ამართლებენ.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, სექტემბერში ეროვნულ ვალუტაში 90 მილიონ ლარამდე სესხი გაიცა, თუმცა ლარში გაცემული სესხების წილი ისევ მკვეთრად დაბალია და მხოლოდ 36%-ს (5,5 მლრდ ლარი), ხოლო დოლარებში გაცემულისა - 64%-ს შეადგენს. ეს აიხსნება იმით, რომ ბანკებმა და საფინანსო ორგანიზაციებმა კარგად იციან, რომ მათ აღარ უნდა გასცენ ისეთი მოცულობის თანხა, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ გაუფასურდება.

ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი სასესხო განაკვეთების ზრდას, არსებითად, ეკონომიკის პასიურობით და ამასთანავე კანონშემოქმედებითი „აქტივობით“ ხსნის, რაც სატარიფო პოლიტიკაზე არანაკლებ გავლენას ახდენს, საბანკო სექტორს უზრდის რისკს და სესხებზე ხელმისაწვდომობასაც ზღუდავს.

„საბანკო სექტორი ყოველთვის რეალურად აფასებდა ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს და აქედან გამომდინარე, განაკვეთებთან მიმართებაში ადეკვატური რეაქცია აქვს, რაც არ არის მყისიერი და ყოველთვის გარკვეულ პერიოდს მოიცავს“, – განაცხადა საბანკო ასოციაციის პრეზიდენტმა ზურაბ გვასალიამ.

„ეს ეხება როგორც სასესხო, ისე საანაბრე განაკვეთებს და ყველაზე სწრაფად რეაგირება ხდება მაშინ, როცა რეფინანსირების განაკვეთი იცვლება. „საბანკო სექტორის ქმედებები ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების საპასუხოა. სექტორი ყოველთვის იყო ეკონომიკის სარკე, შესაბამისია საკრედიტო და სატარიფო პოლიტიკაც“, – აღნიშნავს ზურაბ გვასალია.

რა კრიტერიუმებს იყენებენ ბანკები სესხის საპროცენტო განაკვეთის დასადგენად? გარდა პირადი საკრედიტო ისტორიის შემოწმებისა, ფინანსური ინსტიტუტები აკვირდებიან ფასების ზრდის მაჩვენებელსაც. მაგალითად, როდესაც ინფლაცია 1% ან 2%-ს შეადგენს, მაშინ სესხის 3-4%-იანი განაკვეთიც საკმარისია იმისთვის, რომ უკან დაბრუნებულმა ფულმა მყიდველობითი უნარი შეინარჩუნოს.

საქართველოს მაგალითზე, როდესაც ფასების ზრდის ტემპი უკვე 6%-ს უახლოვდება და შესაძლოა ორნიშნა ციფრს მიუკაკუნოს, იაფ კრედიტზე ლაპარაკი არასერიოზულია. სწორედ ამიტომ, ბანკი აწესებს 12% ან 15%-ს იმისთვის, რათა ფასების ზრდის კომპენსაცია მოახდინოს და არ იზარალოს. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ ინფლაციასა და ლარში შეწონილ საშუალო საკრედიტო განაკვეთს შორის სხვაობა ლამის 6-ჯერადია.

ამასობაში მოსახლეობას სესხის დაფარვა და თვიდან თვემდე თანხის მოძიება ისე გაუჭირდა, იძულებულნი არიან, უარი თქვან ბანკთან თანამშრომლობაზე. ხშირ შემთხვევაში, ადამიანები ერთი სესხის პროცენტის დასაფარად იღებენ დამატებით სესხს ან კერძო პირებისგან მაღალპროცენტიან ვალს. ეს კი მათ ბიუჯეტს მძიმე ტვირთად აწვება. საბოლოო ჯამში, ისინი ვერც ერთი თანხის გადახდას ვერ ახერხებენ. კრედიტის დაფარვა მათ, როგორც ლარში, ასევე დოლარში უჭირთ, თუმცა ცდილობენ, თვიდან თვემდე თანხა შეაგროვონ, აიღონ ე.წ. ონლაინ სესხი, რაც ოჯახისთვის დამატებითი ფინანსური უკუსვლაა.

ბექა დანელია

◎ რას არ გაიგებ?

„ვინც გაგაბრაზებს, ესროლე, შვილო!“

დიდ დიღომში ნომერ 213-ე საბავშვო ბაღში ბავშვის მიერ იარაღის მიტანის ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება ორი მუხლით აღიძრა. არსებული ცნობით, აღნიშნულ ბაღში ერთ-ერთი ბავშვის მამამ შვილს იარაღი გაატანა და უთხრა, ესროლა იმ ბავშვისთვის, რომელიც გააბრაზებდა.

როგორც შსს-ში განაცხადეს, ვითარების გასარკვევად 213-ე საბავშვო ბაღში საპატრულო პოლიციის თანამშრომლები პოლიციაში შეტყობინების შესვლისთანავე გავიდნენ.

213-ე ბაღში მომხდარ ინციდენტზე სისხლის სამართლის საქმე 2 მუხლით აღიძრა. საუბარია 151-ე მუხლზე, რაც მუქარას ითვალისწინებს, ასევე 231-ე მუხლზე, რომელიც ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვას ეხება.

◎ მოფიქრება არ გინდა?

ასე იქმნებოდა ცნობილი ბრენდები

ცნობები ცნობილი სამარკო ნიშნების დაარსების შესახებ ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს. ჩვენ უკვე შემოგთავაზეთ მითები და ლეგენდები რამდენიმე მსოფლიო ბრენდის შესახებ, თუმცა მათი ჩამონათვალი საკმაოდ ბევრია და ბევრია ასეთი საინტერესო ამბავი მათი შექმნის შესახებ. ამჯერად კიდევ რამდენიმე საერთაშორისო სამარკო ნიშნის შესახებ ყველაზე ცნობილ ლეგენდას გაგაცნობთ.

NESTLE

თავდაპირველად, კომპანია Nestle-ს (კომპანია მე-19 საუკუნის 60-იან წლებში დაარსდა) ლოგოტიპი შემდეგნაირად გამოიყურებოდა: ბუდეში მოთავსებული სამი ბარტყი დედასთან ერთად. ანრი ნესტლე კომპანიის გამოშვებული პირველი პროდუქტების სავაჭრო ნიშნად საგვარეულო გერბს იყენებდა. იმ დროისთვის ტრადიციულ ოჯახად ითვლებოდა მშობლები და სამი შვილი. მოგვიანებით, მე-20 საუკუნის შუა წლებში, ტრადიციები შეიცვალა. შეიცვალა ლოგოტიპიც. დღესდღეობით, ბუდეში მხოლოდ ორი ბარტყია.

ARIEL

არსებობს ლეგენდა, რომ ე.წ. casual fridays, როდესაც მსხვილი კომპანიების მკაცრ ე. წ დრესკოდს თანამშრომლები ერთი დღით ივიწყებენ და ოფიციალურ სამოსს ყოველდღიურით ანაცვლებენ, კომპანია P&G-მ შემოიღო. მე-20 საუკუნის 80-იან წლებში მსოფლიო უმსხვილესი კომპანია P&G შეერთებულ შტატებში სარეცხი საშუალებების ბაზრის ლიდერი გახლდათ. მაგრამ, მიუხედავად მაღალი სარეკლამო აქტივობისა, ბაზრის წილი არ იზრდებოდა. სწორედ მაშინ, კომპანიამ ჩაატარა კვლევა და შეაფასა ტანსაცმლის მოვლის ბაზარი. გაირკვა, რომ ფხვნილს 65%-ით იყენებენ, ქიმწმენდას კი – 35%-ით. შემდგომ, კომპანიამ დაადგინა, რომ მომხმარებელთა 70% დაქირავებული მოსამსახურეა და 7-დან 5 დღის განმავლობაში ატარებენ კოსტიუმს, რომელსაც შემდეგ ქიმწმენდაში აბარებენ. P&G-სა და Levi Strauss Jeans-ის ერთობლივი კვლევის მიხედვით, თანამშრომლები ყოველდღიურ სამოსში მეტად შრომისუნარიანები და კრეატიულები არიან, ვიდრე ოფიციალურ კოსტიუმებში. და რა მოიმოქმედეს მათ? P&G-მა კომპანიაში თანამშრომლებს პარასკევობით თავისუფალ ტანისამოსში სიარულის ნება დართო. ეს ახალი ამბავი ორივე კომპანიის ძალისხმევით პრესის ფურცლებს მოედო და მათ მრავალმა კორპორაციამ მიბაძა. სარეცხი საშუალებების ბაზარი კი 20%-ით გაიზარდა.

PIRELLI

იტალიური კომპანია Pirelli გამოირჩევა თავისი პროდუქციის მაღალი ხარისხით და სპეციალიზირდება საავტომობილო საბურავების, მაღალვოლტიანი და ტელესაკომუნიკაციო კაბელების გამოშვებაზე. თუცა, ბევრისთვის Pirelli ასოცირდება კალენდართან, რომელზეც ლამაზი მოდელები არიან გამოსახული. Pirelli-ს კალენდარი – კომპანიის მარკეტოლოგების სწორი გათვლის შედეგია, რისი წყალობითაც, ფირმას ფართო აღიარება, ახალი კლიენტები და ბაზარზე წარმატება ხვდა წილად. Pirelli-ს კალენდარი მე-20 საუკუნის საუკეთესო სარეკლამო სვლად და ხელოვნების ნიმუშად ითვლება. 2002 წელს კომპანიამ 40-წლიანი ტრადიცია დაარღვია და ცნობილი კალენდარი გახდილის ნაცვლად, ჩაცმული მოდელების გამოსახულებით გამოუშვა. გარეკანზე ამერიკის იმდროინდელი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის 17 წლის ძმისშვილი – ლორენ ბუში იყო გამოსახული. ბედნიერი გოგონა ჟურნალისტებს ემოციებს უზიარებდა: „ველაპარაკე ბებიას და ბაბუას, ისინი კმაყოფილები დარჩნენ. როდესაც ვუთხარი, რომ ტანსაცმელში ვიპოზიორებდი – კიდევ უფრო გაუხარდათ“.

HEWLETT-PACKARD

HP-ს დამფუძნებლებმა ბილ ჰიულეტმა და დეივ პაკარდმა მონეტა ისროლეს იმის გადასაწყვეტად, თუ ვისი სახელი იქნებოდა კომპანიის სახელწოდების დასაწყისში. როგორც მიხვდით, გაიმარჯვა ბილმა.

ABSOLUT

Absolut-ის კონცეფცია – ეს ყველაზე ხანგრძლივი კამპანიაა რეკლამის ისტორიაში, რომელიც კარგი გემოვნებისა და კრეატიულობის ეტალონი გახდა. თავდაპირველად, შორეულ 1979 წელს, შვედური ბრენდის სარეკლამო კონცეფციები, რომელიც მარკეტოლოგებმა შეიმუშავეს, ცდილობდნენ, ხაზი გაესვათ მარკის შვედური წარმოშობისთვის. ერთ-ერთი ვერსიით, არყისთვის უნდოდათ დაერქმიათ „ქერა შვებედის სასმისი“, ეტიკეტზე კი, ვიკინგები გამოესახათ. მეორე ვერსიით – „სამეფო კარის არაყი“, ეტიკეტზე ნისლით დაფარული დოქის გამოსახულებით. ასევე, იყო შემოთავაზება, ბოთლები ქაღალდში შეეხვიათ. თუმცა, არც ერთი იდეა არ ქმნიდა არყის ხარისხსა და წარმომავლობაზე სათანადო წარმოდგენას. გადაწყვეტილება ბოთლის ფორმის შერჩევის შემდეგ მიიღეს. რეკლამის სპეციალისტმა გუნარ ბრომანმა სტოკჰოლმში, ანტიკვარული მაღაზიის ვიტრინაში შვედური სააფთიაქო ბოთლი შეამჩნია. იგი ელეგანტური, არასტანდარტული, მარტივი და ძალზედ „შვედური“ იყო. რამდენიმე დიზაინერს დაავალეს, ბოთლის ფორმა ბოლომდე დაემუშავებინათ, რის შემდეგაც გადაწყვიტეს, ეტიკეტზე საერთოდ უარი ეთქვათ, ბოთლის კრისტალურად სუფთა შემცველობა რომ არ დაეფარათ.

HEINZ

ამ მარკის კეტჩუპის ყიდვისას, ყურადღება მიაქციეთ წარწერას ზედა ნაწილში – „57 Varieties“ (57 სახეობა). არსებობს მითი, რომ 1896 წლის ზაფხულში, 51 წლის ჰენრი ჰაინცმა (იმ მომენტისთვის რამდენიმე ფაბრიკის მფლობელი) ნიუ-იორკის ქუჩებში სეირნობისას შენიშნა ფეხსაცმლის მაღაზიის რეკლამა, რომელიც კლიენტებს სთავაზობდა „21 სტილის ფეხსაცმელს“. ჰაინცმა, ანალოგიურად გადაწყვიტა, თავისი ფაბრიკების მიერ წარმოებული პროდუქციის სახეობათა რაოდენობა დაეთვალა.„57-ზე გაცილებით მეტი პროდუქცია დავითვალე, მაგრამ თავში სწორედ „57“ მიტრიალებდა, – იხსენებდა ჰენრი ჰაინცი. – 7-იანს ისეთი ფსიქოლოგიური მომხიბვლელობა გააჩნდა, რომ „58“ ან „59“ სრულებით არ მიზიდავდა“. ამ ამბის შემდეგ ზუსტად 1 კვირაში ეტიკეტებსა და Heinz-ის სარეკლამო პროდუქციებში გაჩნდა სწორედ ის „57 Varieties“.

RED BULL

ენერგეტიკული სასმელი Red Bull 1982 წელს შეიქმნა, როდესაც აღმოსავლეთ აზიაში მივლინებით მყოფი დიტრიხ მატეშიცი იქ უკვე ფართოდ გავრცელებული ენერგეტიკული სასმელებით დაინტერესდა. მატეშიცმა ტაილანდური მარკის Krating Daeng (წითელი ხარი ტაილანდურად) და Taisho Pharmaceuticals (იაპონია) ფარმაცევტული რეცეპტის ლიცენზიები შეიძინა. როდესაც სასმელი ევროპისა და ამერიკის ბაზარზე გაჰქონდათ, მას უკვე ჰყავდა მსგავსი კონცეფციის მქონე კონკურენტები - Cola, Pepsi, Molson, Labatt lf Anheuser-Busch. კონცეფცია ყველას ერთგვარი ჰქონდა – მასტიმულირებელი და მატონიზირებელი, ენერგეტიკი Jolt Cola rb, Red Bull-თან შედარებით ორჯერ მეტ კოფეინს შეიცავდა. მაშინ, დიტრიხ მატეშიცმა სარისკო ნაბიჯი გადადგა: ხელოვნურად გაზარდა ფასი და ქილის მოცულობა შეამცირა, პროდუქცია კი, მაღაზიებში სხვა ყველა განყოფილებებში განათავსა, გარდა სასმელებისა. ამის გარდა, Red Bull-ის ყუთები უფასოდ ურიგდებოდა სტუდენტებს საუნივერსიტეტო კამპუსებში. სტუდენტურ წვეულებებზე Red Bull-ი დიდი მოთხოვნით სარგებლობდა, რადგან მალევე აღმოჩნდა, რომ იგი იდეალურად უხდება არაყს. ასე გაჩნდა ახალი, მეტად პოპულარული კოქტეილი Vodka Red Bull.

დუდანა ზაქარაია

დედამიწის ზურგზე

ისრაელის გენერალური შტაბის ხელმძღვანელი საიდუმლოდ ჩავიდა ბრიუსელში, რათა განიხილოს ტერორისტული საფრთხის დონე

გადი აიზენკოტი შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების არმიის ევროპულ სარდლობას ბელგიის დედაქალაქში, სადაც ტერორისტული აქტების საფრთხის დონე ძველებურად რჩება მაღალ დონეზე. ვიზიტი სპეციალურად იყო გასაიდუმლოებული.

ერდოღანი საპასუხო ზომებით დაიმუქრა, თუ თურქეთის თვითმფრინავს ჩამოაგდებენ

იმ შემთხვევაში თუ რუსეთის მხარე ჩამოაგდებს სირიის თავზე თურქულ თვითმფრინავს, ანკარა უპასუხებს მსგავსი „აგრესიის აქტით“, განაცხადა თურქეთის ლიდერმა, როდესაც საუბრობდა რუსეთის ბაზაზე რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის S-400-ის კომპლექსის რაკეტების განთავსების შესახებ.

ვაშინგტონში რუსეთის საელჩოში უშიშროების ზომები გააძლიერეს

საელჩოს ტერიტორიაზე იმ ავტომობილებით მგზავრობა, რომლებიც არ განეკუთვნებიან დიპლომატიურ მისიას, დახურულია. მომსვლელებს სთავაზობენ, დატოვონ მანქანები გვერდით ქუჩებში და ფეხით გავიდნენ საელჩოს ტერიტორიაზე საკონტროლო პუნქტის გავლით. ამას გარდა, როგორც სპეციალური განცხადებიდან ჩანს, შეიცვალა ტერიტორიიდან ტრანსპორტის შემოსვლისა და გასვლის წესი.

გერმანიაში დააკავეს ვაჭარი, რომელიც ინტერნეტით ტერორისტებზე ჰყიდდა იარაღს

არაბული წარმომავლობის ვაჭარი – 34 წლის საშა ვ. – დააკავეს, იგი იმყოფება საგამოძიებო იზოლატორში შტუტგარდში. სპეციალური სამსახურების მონაცემებით, ნოემბრის დასაწყისში მან ტერორისტებს მიჰყიდა: ჩინური წარმოების ორი ავტომატი AK და ორი იუგოსლავიური ავტომატი M-70. მის სმარტფონში შემონახულია მიმოწერა, ამტკიცებს Bild.

მალიში დააპატიმრეს ბამაკოში სასტუმროზე თავდასხმის მონაწილეობაში ეჭვმიტანილი

20 ნოემბერს ბოევიკები თავს დაესხნენ სასტუმრო „Radisson Blu“ აიყვანეს 170 მძევალი. დამნაშავეები გაანადგურეს შეტევის დროს. დაღუპულთა შორის აღმოჩნდა რუსეთის ექვსი მოქალაქე, ავიაკომპანია „ვოლგა – დნეპრის“ თანამშრომლები. პასუხისმგებლობა შეტევაზე იკისრა ტერორისტულმა დაჯგუფებამ „ალ-მურაბიტუნმა“.

ჩიკაგოში პროტესტის მონაწილეებმა დაარბიეს საახალწლო ნაძვის ხე და ემზადებიან გაიარონ მარშით მთავარ სავაჭრო მაგისტრალზე

აქტივისტები პროტესტს აცხადებენ თეთრი პოლიციელის მიერ შავკანიანი მოზარდის მკვლელობის გამო და იმის წინააღმდეგნი არიან თუ როგორ მიმდინარეობდა ინციდენტის გამოკვლევა. ელოდებიან, რომ საპროტესტო მარში გაივლის ყველაზე ცხოველ სავაჭრო ქუჩაზე ჩიკაგოში „შავი პარასკევის“ დროს, როდესაც მაღაზიებს მყიდველთა ნაკადი მიაწყდება, რომლებსაც სოლიდური ჩამოფასების იმედი აქვთ.



რომანტიკული გრძნობების დამთრგუნავი

გამოკვლევის შედეგად მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ქალში სექსუალური ლტოლვის გასაღვივებლად საკმარისია მას... ვახშმით გაუმასპინძლდეთ.

აღმოჩნდა, რომ დანაყრებული ქალბატონები რომანტიკულ მინიშნებებზე დაუნაყრებლებზე გაცილებით მძაფრად რეაგირებენ, ხოლო ამ უკანასკნელთაგან უმეტესობა ამ „გზავნილებს“, უბრალოდ, ვერც კი ამჩნევს!

ამის ახსნა, თურმე, საკმაოდ მარტივია: ფიზიკური დისკომფორტი თრგუნავს რომანტიკულ გრძნობებს.

სისრულის... ჰორმონები

ტესასის (აშშ) ჰარვარდის უნივერსიტეტის მკვლევართა განცხადებით, ადამიანის სისხლში კორტიზოლისა და ტესტოსტერონის მაღალი შემცველობა... ტყუილის თქმას აიძულებს.

ტესტირების დაწყებამდე 117 მოხალისეს ჰორმონების შემცველობა შეუმოწმეს და უთხრეს, რომ რაც უფრო გულახდილად უპასუხებდნენ დასმულ შეკითხვებს, მით უფრო მეტ ფულად ჯილდოს მიიღებდნენ.

აღმოჩნდა, რომ სისხლში კორტიზოლისა და ტესტოსტერონის დაბალი შემცველობის პირობებში, ისინი სიმართლეს გაცილებით ხშირად ლაპარაკობდნენ.

ფრჩხილების სიკოხტავე, სიმაგრე...

დაკვირვებით დადგინდა, რომ ჩვენ ფრჩხილები მარჯვენა და მარცხენა ხელებზე სხვადასხვა სისწრაფით გვეზრდება.

იმ ხელზე, რომლითაც სამუშაოთა უმეტესობას ვასრულებთ, ფრჩხილები, საშუალოდ, ერთნახევარჯერ უფრო სწრაფად იზრდება. კერძოდ, ცაციებს ფრჩხილების დაჭრა მარცხენაზე უფრო მალე უწევთ. თანაც, საგულისხმო ისაა, რომ უფრო კოხტა და მოვლილი არასამუშაო ხელის ფჩრხილებია.

ფრჩხილების ძირითადი სამშენებლო მასალაა კერატინი, რომლის შემცველობა ამინომჟავა ცისტეინზეა დამოკიდებული, რასაც, თავის მხრივ, მემკვიდრეობითობა განაპირობებს. მამაკაცების ორგანიზმში ცისტეინი უფრო მეტია, ამიტომაც მათი ფრჩხილებიც უფრო მაგარია.

ბრძოლა კატარაქტთან

მეცნიერებმა წვეთები გამოიგონეს, რომლებიც კატარაქტას შლიან.

ამჟამად კატარაქტას მხოლოდ ქირურგიულად მკურნალობენ. ახალი პრეპარატი კი, თვალის ბროლის ამმღვრევი კატარაქტის დაშლის შესაძლებლობას უშუალოდ თვალში ჰქმნის.

ცხოველებზე ჩატარებული ცდებით დადგინდა, რომ ახალი პრეპარატის გამოყენების 90 პროცენტში კატარაქტა გაქრა, მხედველობა კი გაუმჯობესდა.

ძილი და მეხსიერება

მეხსიერებაზე ძილის ზეგავლენის შემსწავლელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ, ღამის დასვენების შემდეგ, მოხალისეები ორჯერ უფრო სწრაფად ითვისებდნენ ინფორმაციას, რომელსაც დღის განმავლობაში ვერ იმახსოვრებდნენ.

როგორც ირკვევა, ძილში ადამიანი იმ მოვლენების „რეპეტიციას“ გადის, რომლებიც დღის განმავლობაში თავს გადახდა ან განიცადა. ეს კი, თავის მხრივ, მას იმის დამახსოვრების შესაძლებლობას აძლევს, რაც მანამდე დავიწყებული ეგონა.

კატები, ძაღლები, ცხენები...

მეცნიერებმა ადამიანზე სამკურნალო ზემოქმედების უნარის მქონე ცხოველთა რეიტინგი შეადგინეს.

მათ შორის უდავო ლიდერები კატები არიან: მათი კრუტუნი დადებითად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე, ასევე დეპრესიებისგან და ნევროზებისგან კურნავს.

მეორე ადგილზე არიან ძაღლები რომლებიც პატრონეებს მეტ მოძრაობას აიძულებენ, მესამეზე კი ცხენები „გავიდნენ“, რომლებიც ადამიანებს სხვადასხვა სახეობის დამოკიდებულებებისგან კურნავენ.

ოკეანე ხმელეთზე იჭრება...

ბოლო წლებში მსოფლიო ოკეანის დონე მატულობს, ზოგიერთი ზღვა კი (კასპიის, არალის, მკვდარი, სხვები) თანდათანობით მეჩხერდება.

ამასთან დაკავშირებით მეცნიერი ოკეანოლოგები აცხადებენ, რომ ეს რეგიონული მნიშვნელობის პროცესებია, რომლებსაც მსოფლიო ოკეანესთან არავითარი კავშირი არა აქვთ. ამასთან, კერძოდ, მკვდარ ზღვას ეს პრობლემა არ ეხება. საქმე ისაა, რომ ის იმის გამო მეჩხერდება, რომ ისრაელის ტერიტორია ორი ტექტონიკური მიკროფილის მიჯნაზე მდებარეობს: ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით მთელ ქვეყანას უზარმაზარი ბზარი ჰკვეთს, რომელსაც ეგრეთ წოდებული მკვდარი ზღვის ტრანსფორმული რღვევა ეწოდება. ზღვის ფსკერი განუხრელად ქვევით იწევს, ნაპრალი კი ფართოვდება და თუ ამ პროცესების ტემპი შენარჩუნდება, მკვდარი და წითელი ზღვების შეერთებამდე, გეოლოგიურად, არც თუ დიდი დროა დარჩენილი. ოდესმე მკვდარი ზღვის ადგილას ახალი ოკეანე იქნება, რომელიც ისრაელს მისი არაბი მეზობლებისგან გამოყოფს.

ასეთი ბზარები დედამიწაზე სხვა ადგილებშიც არსებობს, მსოფლიო ოკეანე კი ახალ ტერიტორიებს, რომ იტყვიან, „ჩვენს თვალწინ“ იკავებს.

„გულიანი“ „ძზის“ ვიტამინი

გულის სისხლ-ძარღვთა დაავადებათა რიცხოვნობის მატება ვიტამინ D-ს ნაკლებობასთანაა დაკავშირებული – ასეთია ტორონტოს (კანადა) უნივერსიტეტის მეცნიერთა დასკვნა.

ამასთან, მკვლევართა მტკიცებით, გულის სისხლ-ძარღვთა დაავადებათა განვითარებასთან დაკავშირებული რისკების გამოვლენა უკვე ხუთი წლის ასაკშია შესაძლებელი. ისინი ასევე აღნიშნავენ, რომ ბავშვთა მზისგან დამცველი ნივთიერებების გავრცელებასთან ერთად, იკლებს ვიტამინ D-ს უკმარისობასა და გულის სისხძარღვთა დაავადებებთან, სიმსუქნესთან, მაღალ წნევასთან და დიაბეტთან კავშირები. ამავე დროს

ახლახან მკვლევარებმა კავშირი გამოავლინეს ქოლესტერინისა და ვიტამინ D-ს შემცველობებს შორის ერთიდან ხუთ წლამდე ასაკის ბავშვებში. აღმოჩნდა, რომ რაც უფრო მაღალია ვიტამინის შემცველობა, მით უფრო დაბალია სისხლში ქოლესტერინის შემცველობა. შესაბამისად, **ადრეულ ასაკშივე შესაძლებელია ბავშვის კვებისა და ცხოვრების წესის ისე შეცვლა, რომ მომავალში მას აღნიშნული პრობლემები თავიდან ავაცილოთ. ამდენად, მშობლებმა უნდა მიმართონ ათწლეულობით გამოცდილ პრაქტიკას, კერძოდ, არ აჭამონ ბავშვებს ფასტფუდი და ნახშირწყალბადებით მდიდარი საკვები, თვალყური ადევნონ მათ წონას, დააკავონ სპროტით, შეუდგინონ და დაიცვან ასაკის შესაბამისი ძილის რეჟიმი, ჰიპერტონიისადმი და სისხლში ქოლესტერინის მაღალი შემცველობისკენ ოჯახური მიდრეკილების შემთხვევაში მოზარდობიდანვე ყურადღება მიაქციონ არტერიულ წნევის, გლუკოზისა და ქოლესტერინის შემცველობას.**

ხასიათის სარკე

მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ადამიანის შესახებ პირველი შთაბეჭდილება ყველაზე უტყუარია.

აღმოჩნდა, რომ მაღალი ინტელექტის მქონე ადამიანები, ჩვეულებრივ, ლამაზები არიან, რადგან (ისინი მემკვიდრეობით ძალიან ძალიან ცოტა მუტაციას იღებენ). განსაკუთრებული ნიშნები პედოფილებსაც ჰქონიათ – მათ სახეებზე, როგორც წესი, გარკვეული უსიამო ნიშნებია.

საინტერესოა, რომ გარეგნულად ადამიანის ხასიათის გამოცნობა არა მარტო სპეციალისტებს, არამედ ჩვეულებრივ ადამიანებსაც შეუძლიათ.

ჩამეხუტე, ჩამეხუტე!

ჩატარებული კვლევის შედეგად, ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ დღის განმავლობაში ათი წამით ჩახუტებას... წამლების შეცვლა შეუძლია.

აღმოჩნდა, რომ ისინი, ვინც ყოველ დღე ახლობლებს ეხუტებიან, სტრესებისა და გაციებისადმი გაცილებით ნაკლებად არიან მიდრეკილნი, მათ უფრო ძლიერი იმუნიტეტი და დაბალი წნევა აქვთ იმათთან შედარებით, ვინც სიყვარულისა და კეთილგანწყობის ამ გამოვლინებას რატომღაც თავს არიდებს.

სპეციალისტები აცხადებენ, რომ ჩახუტების მკურნალი ეფექტი ამ დროს ორგანიზმში ოქსიტოცინის გამოფრქვევას უკავშირდება, რომელიც მათ სტრესისგან შედეგებისგანაც იცავს და იმუნურ სისტემასაც აძლიერებს.

თუ მეხსიერება გღალატობთ...

მედიკოსები აღნიშნავენ, რომ ბოლო ხანებში მეხსიერების გაუარესების ნიშნებით სულ უფრო მეტი საშუალო ასაკის ადამიანები, სტუდენტები და, წარმოიდგინეთ, სკოლის მოსწავლეებიც კი მიმართავენ.

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ მეხსიერების გაუარესების პროვოცირებას ცხოვრების რიტმის აჩქარება, მძლავრი საინფორმაციო ნაკადების მოწოლა, კვების რეჟიმის ცვლილება, ასევე ფსიქოემოციური აშლილობები – სტრესები, განგაშისა და ქრონიკული დაღლილობის შეგრძნებები – პროვოცირებენ. მაგრამ, თუკი სერიოზულ დაავადებებს გამოვრიცხავთ, რომლებსაც მეხსიერების დაქვეითება სდევს, საჭიროა ნევროპათოლოგთან და ფსიქიატრთან გამოკვლევა.

მათი აზრით, საქმეს თვითმკურნალობის მეთოდებიც შველის – ესენია, კერძოდ, ცხოვრების ჯანმრთელი წესის დაცვა, B ჯგუფისა და პოლივიტამინებით გაჯერებული ცხიმოვანი მჟავების მიღება, ასევე მეხსიერების ვარჯიში – ლექსების დაზეპირება, უცხო ენების სწავლა და ა.შ.

ქალური გენების იდუმალი სამყარო

ესტროგენები – ესაა ქალის სასქესო ჰორმონები, რომლებსაც, ძირითადად, საკვერცხეები გამოიმუშავებენ.

მცირე ოდენობით ესტროგენები მამაკაცის ორგანიზმშიც არის, მათ კვერცხები და თირკმელზედა ჯირკვლები გამოიმუშავებენ. ისინი უზრუნველყოფენ გულის სისხლძარღვთა ნორმალურ მუშაობას, აუმჯობესებენ მეხსიერებასა და აყალიბებენ ლიბიდოს **(ანუ სექსუალურ ლტოლვას. – რედ.);** მამაკაცებში ესტროგენების ოდენობის მომატება ქალური ტიპის კანქვეშა ცხიმის დაგროვებასა და ლიბიდოს დაქვეითებას იწვევს; არსებობს სამი სახეობის ესტროგენები: **ესტრადიოლი** უზრუნველყოფს ძვლებისა და კუნთების სიმტკიცეს, გარეგნობას, კარგ მხედველობას, გულის სისხლ-ძარღვთა მოქმედებასა და სწორ სექსუალურ რეაქციას. **ესტრონი** ესტრადიოლის გამომუშავების ნედლეულს წარმოადგენს, მისი დონე ფეხმძიმობის დროს მატულობს. **ესტრიოლზე** კი მთლიანად ჩონჩხის სიმტკიცეა დამოკიდებული: სისხლში ესტროგენების მაღალი დონის მქონე ქალბატონები, როგორც წესი, თავიანთ თანატოლებზე უფრო ახალგაზრდულად გამოიყურებიან, აქვთ გაწონასწორებული ხასიათი, თავს კარგად გრძნობენ და აქტიური ცხოვრებით ცხოვრობენ; ესტროგენებს ბუნებრივად გამაყუჩებელი თვისებები აქვთ; სისხლში ესტროგენების მაღალი დონისა და, შესაბამისად, ბავშვის ჩასახვის დიდი უნარის მაჩვენებელია თმის ღია ფერი. მაგრამ, ბავშვის გაჩენის შემდეგ ესტროგენების შემცველობა კლებულობს, ხოლო ორი-სამი შვილის ყოლის შემდეგ ქერათმიან დედას თმები შეიძლება გაუმუქდეს; ესტროგენები ორგანიზმის ცხიმის დაგროვებას აიძულებენ; ზოგიერთ ქვეყანაში ციხეებში მამაკაცებს ესტროგენებს აძლევენ. ამის მიზეზი ისაა, რომ ამ ჰორმონებს; დამამშვიდებელი მოქმედება აქვთ, რაც პატიმრების განრისხებას ახშობს, მცენარეული ესტროგენების – ფიტოესტროგენების – მოქმედება ბუნებრივების ანალოგიურია. მათ შეიცავენ სოია, სელის მარცვლები, წითელი ყურძენი, სვია, ძირტკბილას ფესვები; ორგანიზმის მიერ ესტრადიოლის ჭარბი ოდენობით გამოიმუშავება ქალებში მკერდის კიბოს გაჩენის ალბათობას ბევრად ზრდის.

„არა“ დაშაქრულ სასმელებს

მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ტკბილი სასმელები დიაბეტს იწვევენ.

გამოკვლევაში მონაწილეობა 40 ათასამდე მოხალისემ მიიღო. აღმოჩნდა, რომ დღის განმავლობაში ერთი დაშაქრული სასმელის მიღებება, გამხდარ ადამიანებშიც კი დიაბეტით დაავადების საფრთხეს 18 პროცენტით ზრდის. უწინ კი ითვლებოდა, რომ მე-2 ტიპის დიაბეტის მიზეზი ჭარბი წონაა.

◎ თაოგა

„აია“ ჭაბუკთა „ა“ ლიგის ჩემპიონია

დიდ დიღომში „ლელო არენამ“ 2015 წლის ჭაბუკთა „ა“ ლიგის ფინალს უმასპინძლა, რომელშიც სეზონის ჩემპიონის გამოსავლენად ერთმანეთს „ლელო სარასენსი“ და „აია“ შეხვდნენ. დაძაბულ ფინალურ რკინაში ჭაბუკმა აიელებმა გაიმარჯვეს (37:13) და ჩემპიონები გახდნენ.

მატჩის დაწყებისთანავე ინიციატივა ხელთ ჭაბუკმა აიელებმა იგდეს და ტაიმის ბოლომდე ორი გარდასახული ლელო მიითვალეს (ა.შვანგირაძე, თ.კვიცარიძე), რასაც თითო ჯარიმა (ს.ფურცხვანიძე) და არეკნიც (თ.კვიცარიძე) მიაყოლეს. ლელოელებმა საპასუხოდ ორი ჯარიმა (ნ.ხითარიშვილი 2-ჯერ) გაიტანეს და პირველი ნახევარი ანგარიშით 6:20 დასრულეს.

მატჩის განახლებიდან „ლელომ“ უმატა შეტევებს, თუმცა, არც „აია“ იჯდა გულხელდაკრეფილი და კონტრშეტევებსაც გვარიანად ანხორციელებდა. მეორე ნახევარში აიელთა მესამეხაზელმა საბა ერემაშვილმა ორჯერ დაამიწა ბურთი თბილისელთა ლელოში, რასაც ქუთაისელთა მგეზავმა სანდრო ფურცხვანიძემ გარდასახვები მიაყოლა. მატჩი ულელოოდ არც მასპინძლებმა დაასრულეს და საფინალო სასტვენამდე ბექა საღინაძემ გადაკვეთა აიელთა ლელოს ხაზი, პირველ ტაიმში მოპოვებული 6 ქულის ავტორმა ნიკა ხითარიშვილმა კი ლელო გარდასახა და მატჩის საბოლოო ანგარიში 37:13 დაფიქსირდა „აიას“ სასარგებლოდ.

სეზონის ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორები ფინალამდე ერთი დღით ადრე „შევარდენზე“ გამოვლინდა. აქ ჭაბუკი არმიელები რუსთავის „ხარებს“ დაუპირისპირდნენ და 24:22 გაიმარჯვეს.

ორივე გუნდმა სამ-სამი ლელო („არმია“: გ.გოგოლაძე, დ.მესხი, ნ.მერკვილიშვილი; „ხარები“: ო.დოკაძე, ნ.კეკლიშვილი, ნ.ცუხიშვილი) დადო და თითოთითო ჯარიმა „არმია“: ა.დაბროევი, „ხარები“: ლ.გაჩეჩილაძე) მიითვალა, თუმცა, „არმიამ“ სამივე ლელო გარდასახა (გ.გოგოლაძე), ხოლო „ხარებმა“ — მხოლოდ ორი (ლ.გაჩეჩილაძე). შესაბამისად მესამეზე „არმია“ გავიდა, ხოლო მეოთხე ადგილს „ხარები“ დაეუფლნენ.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ლეგიონერები

ევროპის ლიგა და ქართველები: კვირკველიამ მოიგო, ქეცბაიამ წააგო

ევროპის ლიგის ჯგუფური ეტაპის მეხუთე ტური სოლომონ კვირკველიას ყაზანის „რუბინისთვის“ წარმატებული გამოდგა. „რუბინმა“ შინ 2:0 მოუგო შვეიცარიის „სიონს“. ქართველმა მცველმა საიმედოდ ითამაშა და შეუცვლელად გაისარჯა.

„რუბინს“ ჯერ კიდევ დარჩა ჯგუფიდან გასვლის შანსი — მესამე ადგილზეა და 5 ქულა აქვს. ყველაფერი ბოლო ტურში გაირკვევა, როცა კვირკველიას გუნდი „ბორდოს“ შეხვდება.

თემურ ქეცბაიას გაწვრთნილმა აპოელ-მა კი ეს შანსი დაკარგა. კვიპროსელებმა „შალკესთან“ სტუმრად 0:1 წააგეს და ბოლო ადგილზე არიან — ერთი მოგება, ოთხი წაგება. ისე, „შალკე“ დიდ უპირატესობას ფლობდა, თუმცა, ქეცბაიას გუნდს ბოლო წუთებზე გაუტანა.

გიორგი შოთაძე

◎ კვამლი — უცეცხლოდ?!

ტელეკომპანია „პირველი“ საქართველოს ჩემპიონატის საეჭვო მატჩებზე ინფორმაციას ავრცელებს

ტელეკომპანია „პირველი“ საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში ე. წ. საეჭვო მატჩების შესახებ ინფორმაციას ავრცელებს. საუბარია აზარტული თამაშების ერთ-ერთ ბრიტანულ ვებ-პორტალზე პირველი ლიგის მატჩების მიმართ საეჭვო ინტერესზე. როგორც tvpirveli იტყობინება, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ საგამოძიებო სტრუქტურებს და უეფას გარკვეული ინფორმაცია უკვე გადაუგზავნა.

ბადრი იაშვილი

◎ მაფიის მარწუხებში

სანქციები ფიდეს პრეზიდენტის წინააღმდეგ

აშშ-მა რუსი მილიარდერის და პოლიტიკოსის, ამავდროულად კი 1995 წლიდან საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის უცვლელი პრეზიდენტის — კირსან ილუმჟინოვის წინააღმდეგ სანქციები შემოიღო.

აღნიშნული გადაწყვეტილების ინიციატორი შტატების საზღვარგარეთული აქტივების კონტროლის განყოფილებაა, რომელიც ილუმჟინოვს და მის პარტნიორ მუდალალ ჰურის სირიის რეჟიმის მიერ ისლამური სახელმწიფოსგან ნავთობის ყიდვის გარიგებაში ჩართულობას სდებს ბრალად.

როგორც ორგანიზაციის პრეს-რელიზშია ნათქვამი, ილუმჟინოვი და მასთან დაკავშირებული პირები ტერორისტებთან ურთიერთობაში 2012 წლიდან არიან შემჩნეულნი, უკანონო გარიგებებში კი სირიის მთავრობის არაერთი პირი და ამავე ქვეყნის ეროვნული ბანკის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

კოგა კოგახიძე

◎ ძალოსნობა

მორიგი სალიცენზიო ქულები ჰიუსტონიდან

ჰიუსტონში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე 105 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში საქართველოს ორი წარმომადგენელი ჰყავდა. საბოლოოდ გიორგი ჩხეიძემ C ჯგუფში 375 კილოგრამით (168+207) მეორე ადგილი დაიკავა და ოლიმპიადისთვის ნაკრებს, როგორც მინიმუმ, 2 სალიცენზიო ქულა მოუტანა.



მეორე ქართველმა სპორტსმენმა გია მაჭავარიანმა გამოსვლა 355 (165+190) კილოგრამით დაასრულა. ის ჯერჯერობით მეცხრეა.

კახი კახიაშვილი (საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი): „ძალიან გაგვახარა ჩხეიძემ. ამ ბიჭს კარგი მომავალი აქვს. იგი ჯერ მხოლოდ 18 წლის არის და ბევრად გამოცდილ სპორტსმენებს აჯობა. ხვალ გადაწყდება ამ წონაში ქულების ბედი. ჩვენი ბოლო 3 სპორტსმენი 28 ნოემბერს იასპარეზებს და, სავარაუდოდ, მედლებიც გვექნება“.

მსოფლიო ჩემპიონატზე ძალები სცადა რაულ ცირეკიძემაც. 94 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში საქართველოს ნაკრების წევრმა 356 (160+196) კილოგრამი დააგროვა და საბოლოოდ მე-20 შედეგი აჩვენა, რაც ასევე ქულების (6) მომტანი იქნება.

ამ წონაში ოქროს მედალი ბელარუს ვადიმ სტრალცოუს (405 კგ.) ერგო, მეორე-მესამე ადგილები კი ყაზახმა ძალოსნებმა დაიკავეს: ალმას უტეშოვმა (402) და ჟასულან კიდირბაევმა (399).

შეგახსენებთ, რომ მსოფლიო პირველობაზე კიდევ 3 ქართველი ძალოსანი იასპარეზებს: ლაშა ტალახაძე (მძიმე), ირაკლი თურმანიძე (მძიმე) და ანასტასია გოტფრიდი (მძიმე).

გეჟან დოლიძე

◎ კალათბურთი

პულენის 7 ქულა, 4 პასი და გამარჯვება საფრანგეთში

ევროლიგის ჯგუფური ეტაპის მეშვიდე ტურში ფრანგული „ლიმოჟი“ შინ საქართველოს ნაკრების წევრის ჯეიკობ პულენის ხორვატულ „ცედევიტასთან“ 69:78 დამარცხდა.

„ჯვაროსანმა“ პარკეტზე 22 წუთი დაჰყო და ამ დროში გუნდს 7 ქულა, 4 პასი და 2 მოხსნა შესძინა. ზაგრებელთა გამთამაშებელმა 2-დან 2 ორქულიანი და 3-დან ერთი სამქულიანი ჩააგდო.

„ცედევიტა“ 4 მოგებით და 3 მარცხით ჯგუფში მესამე ადგილს იკავებს და მომდევნო ეტაპზე გასვლის კარგი შანსი აქვს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

მკერდჩაგვირისტებული მირტა სოსა

თუკი „დაწერილ არს“, რომ შეიძლება ნილოსმაც აღმა დაიწყოს სვლა, მგელმა და ცხვარმა ერთად ძოვონ და ბორის ჩოჩიევმა ულვაში გაიპარსოს, მაშინ რატომ არ შეიძლება, რომ პარაგვაელმა მოდელმა მირტა სოსამ განაგდოს ძველი ზნე-ჩვეულებანი და ახალ ცხოვრებაში ფოსტლებივით წაპეოს ფეხი? დიახაც რომ შეიძლება!

აქამომდის ყველამ ვუწყოდით, რომ მირტა სოსა პარაგვაის საფეხბურთო ნაკრების გულშემატკივარი იყო და კიდეც გვემარტივებოდა ამ მკერდჩაგვირისტებული ასულის გადაწყვეტილება. აბა როგორ? პარაგვაელმა პარაგვაის უნდა უქომაგოს, უნგრელმა — უნგრეთს! ქართველმა კი... ქართველმა უნდა იოცნებოს...

ერთი სიტყვით, მირტა სოსამ საჯაროდ გვაუწყა, რომ ამიერიდან მისი გულის დიდი ნაწილი მადრიდის „რეალს“ ეკუთვნის და მიუხედავად იმისა, რომ ეს ხელიხელსაგოგმანები კლუბი ოკეანის გადმოლმაა, მირტა იძახის, მე „რეალმა“ მათი მატჩების აბონემენტი მომცეს და ქალი არ ვიყო, ტრიბუნაზე ბარძაყნი თუ არ ჩამოვაწყოო. ჩამომწყობია!

როსტომ რაჭველიშვილი

სკანვორდი



ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური და საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საჩხერის რაიონის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე, დამსახურებული პედაგოგი, ვეტერანი

ქიშვარდი გერონტის ძე ჭიხორია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

◎ ინფორმაცია

ახალი გზები კასპის სოფლებში

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, კასპის მუნიციპალიტეტში, ახალქალაქი-რკონის საავტომობილო გზის 4 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაციას ახორციელებს.

სარეაბილიტაციო მონაკვეთი კასპის მუნიციპალიტეტის სოფლებზე ახალქალაქზე, გარიყულასა და ერთაწმინდაზე გადის და ერთაწმინდის ტაძრის კომპლექსთან სრულდება.

პროექტი ითვალისწინებს: ასფალტ-ბეტონის საფარის დაგების, კიუვეტების, მოსახლეობის ეზოებში შესასვლელების, ადგილობრივ გზებთან მიერთებების, საგზაო ნიშნებისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებების მოწყობას.

ამჟამად, გზის აღნიშნულ მონაკვეთზე, რკინა-ბეტონის ღარების, კიუვეტების, საგზაო ნიშნებისა და ბოგირების მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. 3.5 კილომეტრიან მონკვეთზე საგზაო საფარი უკვე დაიგო.

პროექტი, რომლის ღირებულება 2 478 700 ლარია მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ხორციელდება და მასზე 40 ადამიანია დასაქმებული.

◎ ჩვენი კარაბადინი

ნუ იჩქარებთ დაბერებას!

ყოველ ადამიანს დაბერების თავისი ტემპი აქვს, მიაჩნიათ ამერიკელ მკვლევარებს დიუკის უნივერსიტეტიდან.

ისინი თვალყურს ადევნებდნენ მოხალისეთა ჯგუფს 871 კაცისგან. პარამეტრებს, რომლებიც საშუალებას იძლეოდნენ, განესაზღვრათ დაბერების სიჩქარე, მათ უზომავდნენ 26,32 და 38 წლების ასაკში. დაბერების სიჩქარის განსაზღვრის პროცესში შევიდა თირკმლების, ღვიძლის, ფილტვების, იმუნური სისტემის მუშაობის ანალიზი, ნივთიერებათა ცვლის შეფასება, ქოლესტერინის დონე, სხეულმზომების სიგრძე...

გამოსაცდელების დაბერების სიჩქარე სხვადასხვაგვარი აღმოჩნდა. მოხალისეთა უმრავლესობის ბიოლოგიური ასაკი შეესაბამებოდა ქრონოლოგიურ ასაკს. თუმცა აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ბერდებოდნენ სამჯერ უფრო მალე ძირითად მასასთან შედარებით, და ისეთებიც, ვინაც 8 წლის განმავლობაში სულაც არ ბერდებოდნენ. მათ, ვინც ბერდებოდა უფრო სწრაფად, ჰქონდათ უფრო ნაკლები ფიზიკური მომზადება, უფრო სწრაფად უქვეითდებოდათ შემეცნებითი უნარი. ისინი თავიანთ თანატოლებზე უფრო ხნიერებად გამოიყურებოდნენ.

ფაქტს კომენტარს უკეთებს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ვლადიმერ ანდღულაძე:

— ის, რომ ადამიანები სხვადასხვა სიჩქარით ბერდებიან, დიდი ხანია, ცნობილია. ბიოლოგიური ასაკის ზრდა მუხრუჭდება სისტემატური ფიზიკური აქტივობის (ფეხით სიარული, სეირნობა, სირბილი, თამაშები ჰაერზე), განათლების დონის ამაღლების, უცხო ენების სწავლის, მუსიკალური საქმიანობის დროს. მაშინ, როდესაც თამბაქოს მოწევამ ალკოჰოლის მოხმარებამ, ზედმეტმა ჭამამ, მუშაობამ ღამით, გარემობუნების მთელმა რიგმა ფაქტორებმა (კანცეროგენები, დაბალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ველები...) შეიძლება დააჩქარონ დაბერება. გენები ხანდაზმულობის მხოლოდ 25-35 პროცენტს განსაზღვრავენ, დანარჩენები თავად ჩვენზეა დამოკიდებული. გააკეთეთ თქვენი არჩევანი!

ასეთი სხვადასხვაგვარი სიზმრები

მამაკაცებისა და ქალების აზროვნება ერთმანეთისგან განსხვავდება არა მხოლოდ სიფხიზლის დროს, არამედ ძილშიც, ამბობენ მკვლევარები კანადიდან. ეს სხვადასხვაობა აისახება სიზმრებშიც, ღამის კოშმარებშიც.

მეცნიერებმა მოაწყვეს ექპერიმენტი, რომელშიც 300 ქალმა და კაცმა მიიღო მონაწილეობა. მოხალისეები აფიქსირებდნენ თავიანთი სიზმრების შინაარსს ყოველ დილით 45 კვირის განმავლობაში. აღმოჩნდა: ქალებს ხშირად ესიზმრებათ, რომ იგვიანებენ ყოველ მნიშვნელოვან ღონისძიებაზე ან რომ გზა აებნათ. მათი კოშმარების თემა არის დაავადებანი, სიკვდილი, მოლანდებები, ურჩხულები, ვამპირები ან უცხოპლანეტელი არსებანი, ღალატი ან სიცრუე მათი მახლობელი ადამიანიდან.

მამაკაცები სიზმარში უფრო ხშირად ხედავენ სტიქიურ უბედურებებსა და ომებს, უფრო იშვიათად — მწერებს.

ბუტბუტის სარგებლობის შესახებ

დამახსოვრების კარგ უნარს ავლენენ ის ადამიანები, რომლებსაც აქვთ ჩვეულება, ელაპარაკონ თავიანთ თავს, მიაჩნიათ მეცნიერებს მონრეალიდან.

მათ მოაწყვეს ექსპერიმენტი ადგილობრივი უნივერსიტეტის უფროსი კურსების 44 სტუდენტის მონაწილეობით. მოხალისეებს უჩვენებდნენ ეკრანზე სიტყვებს, რომლებიც უნდა წაგეკითხა შენთვის, შემდეგ კი წარმოგეთქვა. უხმაუროდ, გულში, თუმცა ეს ტუჩების მოძრაობით უნდა გაგვეკეთებინა. მეცნიერები ასევე თვალყურს ადევნებდნენ სტუდენტებს, რომლებიც სიტყვებს კითხულობდნენ ხმამაღლა თავიანთთვის ან სხვებისთვის. აღმოჩნდა, რომ კითხვა ხმამაღლა საკუთარი თავისთვის ყველაზე მეტად უწყობდა ხელს ინფორმაციის დამახსოვრებას.

ეს ფენომენი, ცხადია, დაკავშირებულია თავის ტვინში პროცესების დიდი ოდენობის აქტივიზაციასთან, რაც ხელს უწყობს ინფორმაციის საიმედო დამკვიდრებას ხანგრძლივ მეხსიერებაში.

ფოტოზე შემორჩენილი ახალგაზრდობა

ᲐᲛ დღეებში თსუ-ის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის დაარსების 35-ე წლისთავია. მისი მეცნიერი მუშაკების დიდმა ნაწილმა წრთობა ცნობილ დუბნას სამეცნიერო ცენტრში მიიღო. სურათზე წარმოდგენილია ქართული სათვისტომო მოსკოვის ოლქში (ქ. დუბნა) 1970 წ. მომავალი მეცნიერებათა დოქტორები და აკადემიკოსები: პირველ რიგში (მარცხნიდან): ანზორ ხელაშვილი, რევაზ სალუქვაძე, ალეკო თავხელიძე, მადონა ჯღარკავა, ნოდარ ამაღლობელი, ფელიქს ტყებუჩავა. მეორე რიგში: ვლადიმერ კეკელიძე, მურად ჩარგეიშვილი, ლევან მარკოზაშვილი, შოთა შოშიაშვილი, ვახტანგ გოგოხია, ბადრი ჭილაძე, მიხეილ ნიორაძე, მერაბ ჩავლეიშვილი, დალი გერსამია, ვახტანგ ხმალაძე.

მოგვაწოდა ᲝᲛᲐᲠ ᲨᲣᲓᲠᲐᲛ

◎ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘ

„კაცი მეტროს ჯიხურიდან“

ᲪᲕᲔᲚᲐ მეტ-ნაკლებად შეძლებული სამეურნეო ორგანიზაცია, რომელსაც შემოსავალიც კარგი აქვს, მაგრამ გასავალიც დიდი, მოგების გაზრდას რაღაც დამატებითი გზებით ეძებს, რა დროსაც, ხშირად, გარკვეულ ხერხებს მიმართავენ, ზოგჯერ სხვის საზიანოდაც.

ამ შემთხვევაში ლაპარაკი თბილისის მეტროპოლიტენზე გვაქვს, რომელიც თავისი კუთვნილი ფართების რაც შეიძლება მეტად „დატვირთვას“ ცდილობს. ეს „დატვირთვა“ კი, უმეტესწილად, სადგურების ზედა ფოიეების სხვადასხვა ორგანიზაციაზე გაქირავებაა. ამდენად, თბილისის მეტროპოლიტენის კლიენტები არიან კომბანკები, მობილური კავშირის ოპერატორები, სააფთიაქო ქსელები, პარფიუმერიით მოვაჭრე კომპანიები და სხვ.

ამაში ცუდი, თავისთავად, არაფერია, რომ არა ერთი „მაგრამ“: იმისთვის, რომ მეიჯარეებს სარფიანი კლიენტები არ მოაკლდეთ, მეტროპოლიტენის მესვეურებს ისეთი „წვრილმანი“ აქვს გამორჩენილი, როგორიცაა, მაგალითად, მგზავრთა შემსვლელ-გამომსვლელი ნაკადების ერთმანეთისგან გამიჯვნა, რის შედეგად (განსაკუთრებით პიკის საათებში) კარებში გამუდმებით ჭყლეტა და ერთი დავიდარაბაა, კერძოდ, მეტრო „მარჯანიშვილის მოედანზე“, და ვიდრე საქმე დიდი უსიამოვნებით არ დამთავრდება, როგორც ჩანს, მეტროს „ხაზეინობა“ ყურს არ გაიბერტყავს.

ახლა კი მეტროს სადგურ „სადგურის მოედნის“ ზედა ფოიედან გასასვლელში, ვიდრე მგზავრთა მძლავრი ნაკადი ბორჯომის ვაგზლის, საყოფაცხოვრებო ბაზრობისა და აგრარული ბაზრის მიმართულებით გადაადგილდება, ადრე ჩალაგებულ-ჩაწყობილი ჯიხურებისა და მათ

წინ გამოფენილი საქონლის გამო კაცი თუ ვერ მიიკვლევდა გზას ხეირიანად, ახლა ზედ ამ ვიწრო დერეფნის თავში ვიღაცას „განსაკუთრებული ჯიხურის“ დადგმის უფლება გაუცია, რომლის ყოვლად უსაქციელო გამყიდველსა თუ მეპატრონეს არც ეს ეყო და ახლა კარიც გარეთ აქვს გამოღებული და გამვლელთა თხოვნაზე მის თუნდაც მიხურვაზე, მკვახედ პასუხობს: არა, ასე უნდა იყოს, ასეთი „ხოში“ მაქვს, ვისაც სად გინდათ, იქ მიჩივლეთო...

თბილისს როგორც ზრდილი ხალხი არასდროს აკლდა, თავხედებიც მრავლად იყვნენ, მაგრამ მათ მუდამ თავის ადგილს უჩენდნენ ხოლმე, ახლა ვინ უნდა ალაგმოს ეს „კაცი მეტროს ჯიხურიდან“, იქნებ ამ პატივცემული ორგანიზაციის მესვეურებმა, ანდა დიდუბის რაიონის გამგეობის თავკაცებმა გვიპასუხონ?

ᲝᲗᲐᲠ ᲢᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔ

ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲜᲐᲓᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

◎ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ

წმიდა მათე მახარებელი

ᲓᲦᲔᲡ, 28 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡᲨᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲮᲕᲐ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ

29 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს წმიდა დიდებულს, ყოვლადქებულს, მოციქულსა და მახარებელს მათეს.

სულთმოფენობის დღესასწაულზე უფლის სხვა მოციქულებთან ერთად მათე მახარებელი რჩეულ მოწაფეთა შორის იყო და მათთან ერთად სულიწმიდის მადლით აივსო.

მათე მახარებელი ქრისტიანობას ქადაგებდა ბევრ ქვეყანაში, მათ შორის იყო ძალიან შორეული ქვეყნები. მოციქულმა მათემ სახარებაში ასახა იესო ქრისტეს მიწიერი ცხოვრება და მისი სწავლება.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ იერუსალიმში დარჩენილი იუდეველების თხოვნით დაუწერია მას ეს წიგნი. მისი სახარება ახალი აღთქმის წიგნებს შორის რიგით პირველია, რომელიც პალესტინაში ქრისტესშობიდან 42 წელს დაიწერა. ებრაულ ენაზე დაწერილი მისი სახარება შემდგომში გადაითარგმნა ბერძნულად...

ᲢᲠᲝᲞᲐᲠᲘ: „მწოდებელსა მას შენსა ქრისტესა მეუფესა დამტევებელი მეზვერეობისა გულსმოდგინედ შეუდეგ, რომელი გამოუჩნდა კაცთა ქვეყანასა ზედა სახიერებისათვის, და მოციქულად რჩეულთა რჩეულად გამოჩნდი, და ახარე სახარებაი სოფელსა ხმამაღლად; ამისთვის პატივს ვცემთ წმიდასა ხსენებასა შენსა, მათე ღვთისმეტყველო, ევედრე მოწყალესა ღმერთსა, რათა ცოდვათა შენდობაი მოგვანიჭოს და სულთა ჩვენთა დიდი წყალობაი“.

P. S. მათეს ყველა მოსახელეს ვულოცავთ დღევანდელ დღეს!

ᲒᲘᲣᲚᲘ ᲚᲘᲞᲐᲠᲢᲘᲐ

◎ ᲪᲘᲜᲪᲮᲐᲚᲘ ᲐᲜᲔᲙᲓᲝᲢᲔᲑᲘ

— შამპუნი გაქვთ?

— გვაქვს. როგორი ტიპის თმისთვის გინდათ?

— ბინძურისთვის.

* * *

ᲓᲘᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲝ, სოციალურ ქსელში შესვლამდე დაიცავი სამი ოქროს წესი:

1. გამორთე გაზქურა!
2. გადაკეტე წყალი აბაზანაში!
3. საბავშვო ბაღიდან გამოიყვანე ბავშვი!

* * *

ᲗᲣᲙᲘ რუსი საზღვარგარეთ ყოფნისას რაიმეს გასინჯავს და იტყვის „ჩვენი კი უკეთესიაო“, ესე იგი, იგი გულისხმობს მხოლოდ არაყს ან ქალს.

* * *

ᲓᲦᲔᲡ, სტომატოლოგთან მისვლამდე, სიმხნევისათვის დავლიე 50 გრამი კონიაკი და როგორც კი სიმხნევე ვიგრძენი, ბოთლი ბოლომდე დავცალე.

* * *

ᲐᲓᲠᲔ მშობელთა კრებისა ბავშვებს ეშინოდათ, ახლა კი მშობლებს ეშინიათ.

◎ ᲙᲐᲓᲠᲘ

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲛᲐᲩᲐᲑᲚᲘᲡ Ქ. №7
ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66434

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ᲐᲚᲔᲙᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 599 53-76-16;
ᲠᲣᲡᲚᲐᲜ ᲠᲣᲡᲘᲐ 599 17-21-21;
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲫᲝᲒᲣᲚᲘᲐ 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲛᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ